

„თეოლოგიის განვითარებას უწყობს ქართული სასულიერო სასწავლებლის დაარსება...“
 „სადაც უნდა დასწავლით, იგი ყველგან სწავლის...“
 „სადაც უნდა დასწავლით, იგი ყველგან სწავლის...“
 „სადაც უნდა დასწავლით, იგი ყველგან სწავლის...“

ხობის მოამბე

№13 (7055) * 7 ოგოსტო, ხუთშაბათი * 2011 წელი. შპსი 50 თეთრი..



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

2011 წლის 27 ივნისს საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძე უძღვევდა.

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად შეტანილი იყო 9 საკითხი:

დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 31 დეკემბრის 19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (მომხსენებელი: მ. ჭოხონელიძე-საკრებულოს თავმჯდომარე);

დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის დადგენილების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის 26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (მომხსენებელი: მ. სილოგავა-იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

დადგენილების პროექტი „ადამიან-ტრანციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 10 მაისის 41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (მომხსენებელი: მ. სილოგავა-იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 25 ივნისის 11 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (მომხსენებელი: მ. ბუკია-სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა (ჯანდაცვა, კულტურა, განათლება, სპორტი) კომისიის

შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 25 ივნისის 14 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (მომხსენებელი: მ. ბუკია -სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარეგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 ივნისის 17 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (მომხსენებელი: მ. სილოგავა-იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 26 იანვრის 51 განკარგულებაში ცვლილების შეტანის“ (მომხსენებელი: მ. ჭოხონელიძე-საკრებულოს თავმჯდომარე);


განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზოგიერთი ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ (მომხსენებელი: მ. სილოგავა-იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

„ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 2010 წლის საფინანსო დოკუმენტაციის აუდიტორული შემოწმების ანგარიშის განხილვა“ (მომხსენებელი: მ. ჭოხონელიძე-საკრებულოს თავმჯდომარე).

განსახილველი პროექტების დამტკიცების შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარემ მამუკა ჭოხონელიძემ წამოაყენა ინიციატივა საკრებულოს სხდომის ინტერნეტტრანსლაციის შესახებ. ასევე, მ. ჭოხონელიძის ინიციატივითა და საკრებულოს წევრთა გადაწყვეტილებით საკრებულოს მორიგი გასული სხდომა გაიმართება ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხამისკურში.

ილია მეოხე: აფხაზები, ოსები და ქართველები აუცილებლად ერთად იცხოვრებენ

საქართველს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, მიქაინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილია მეოხემ საკვირათ დადგინებისა და ქვეყნის გამთლიანებაზე გაამაჟილა ყურადღება. ბრძანებ პატრიარქმა მბრძანა, აფხაზები, ოსები და ქართველები აუცილებლად ერთად იცხოვრებენ.



„ყველაღმინდა ღვთისმშობელი აბ დაეშვიხს იმას, რომ საქართველს დაეცეს. ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. საქართველს ღვთის მადლით და წყალობით გამთლიანდება. საქართველს იძენა ბედნიერობა. ბედნიერობა იძენიან ჩვენთან ერთად აფხაზებიც და ოსებიც. ვლცაჟ აფხაზეთის დმის ვრცოტანებს. მიმივ გზა გამთიანებს მათ და ღმერთმა აბ ქნას, კვლავ განმეორდეს ეს. აფხაზები და ქართველები კი აბ ემეზდნენ ერთმანეთს, ჩვენ ვმომხდით იმ პალასთან, რომელიც ბრძანებ აფხაზეთის, ასევე ქართველების წინააღმდეგ იცო მმმართული“.

– მბრძანა პატრიარქმა. ილია მეოხემ მავშვიძის აღზრდაზე და ახალგაზრდების ცაბრებში მმმრთეზმაც ისაჟმბა. წითვის დასტოვების შემდეგ პატრიარქმა აფხაზეთის დმის ვრცოტანები და ბამდენიმე ქართული გვაბი დალცა.

შეხვედრა საქართველოს პარლამენტში



ხობელ სტუდენტებს, რომლებიც დედაქალაქის უმაღლეს სასწავლებლებში დებულობენ განათლებას საქართველოს პარლამენტის „პირველი რესპუბლიკის“ სახელობის დარბაზში შეხვედრის ხობის მაჟორიტარი დეპუტატი გოდერძი ბუკია, მუნიციპალიტეტის გამგეობის იგორ ტყეპუნავა, დეპუტატის ბიუროს

საკითხებთან დაკავშირებით-ეს იყო შეხვედრის მოტივი, რამაც სტუდენტებში ინტერესი გამოიწვია. დეპუტატთან საუბრისას, ახალგაზრდებმა გამოკვეთეს თავიანთი დამოკიდებულება ქვეყანაში და მშობლიურ მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებთან. ასევე გამოიკვეთა ხობელი ახალგაზრდობის მოლოდინი ქართული (მეგრული) ხალხური სიმღერის მეხუთე საერთაშორისო ფესტივალისა და უწმინდესის რეზიდენციის გახსნასთან დაკავშირებით. რამაც თავიანთი მოკრძალებული წვლილის შეტანა ხობელ სტუდენტებს საკუთარ მოწოდებებში დაინათა. ისაუბრეს მაჟორიტარი დეპუტატის პროექტზე „ახალგაზრდული ქალაქი-ხეთა“. წარადგინეს მოსაზრებები და წინადადებები, რომლის განხორციელებასაც ისურვედნენ ხობში. მაჟორიტარი დეპუტატი მისთვის ჩვეული უშუალოდ ესაუბრა სტუდენტებს პრობლემებზე, რომელიც უახლოეს მომავალში გადამდგება. ინვესტიციებზე, რომელიც რეგიონის და მუნიციპალიტეტის შემდგომ განვითარებას და მოსახლეობის დასაქმებას შეუწყობს ხელს. გამოსაჭრება სტუდენტების მიერ ჩამოყალიბებული წინადადებებისა და იდეების სრული მხარდაჭერა.

პრეზიდენტი იხილეთ მე-3 გვერდზე



კლიმატის ცვლილება ხობის მუნიციპალიტეტის სოფლებში დაუზარალებელი

სასოფლო-სამეურნეო საკარგულები. გუბერნატორის მოადგილემ ვახტანგ ცხადაიამ და გამგებელმა იგორ ტყეპუნავამ, სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად ადგილზე დაათვალიერეს დაზარალებული სოფლები: (შუა ხორგა, ქვალონი, ოქროს საწმისი, ნოჯიხევი, ჭალადი და პირველი მაისი). მუნიციპალიტეტის გამგეობის განცხადებით ამინდის

აუდიტორული დასკვნა

გასული წლების მსგავსად, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინიციატივით მოწვეული აუდიტის მიერ განხორციელდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საფინანსო დოკუმენტაციის აუდიტორული შემოწმება. კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა შესაბამისად, აუდიტორული დასკვნა საკრებულოს თავმჯდომარის მიერ 2011 წლის 27 ივნისს წარედგინა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაში. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო მუნიციპალიტეტის საზოგადოებას გასაცნობად სთავაზობს შპს აუდიტორული ფორმა „პულსი XXI“-ს მიერ 2011 წლის აპრილსა და მაისში ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2010 წლის საფინანსო დოკუმენტაციის აუდიტორული შემოწმების შედეგებს.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უძრავი ქონების წინასწარი რეგისტრაციის ახორციელებს ინფორმაციის რეგისტრაციის წესი დაამტკიცა



საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უძრავი ქონების წინასწარი რეგისტრაციის წესი დაამტკიცა. პრეზიდენტის ბრძანების თანახმად, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უძრავი ქონების წინასწარი რეგისტრაციის წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უძრავი ქონების რეგისტრაციის პროცედურებს ამ უძრავი ქონებაზე საკუთრების აღიარების მიზნით.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უძრავი ქონების წინასწარი რეგისტრაციის ახორციელებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი სარეგისტრაციო სამსახური. ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უძრავი ქონების წინასწარი რეგისტრაციისთვის უძრავი ქონების აღრიცხვა-დეკლარირებას ამ წესით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოებასა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის მიწოდებას ახორციელებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული. სამინისტრო ახდენს დეკლარირებული უძრავი ქონების იდენტიფიცირებას დაინტერესებული პირის მიერ შევსებული დეკლარაციისა და სხვა ინფორმაციის საფუძველზე, უძრავი ქონების წინასწარ საკადასტრო მონაცემთა ელექტრონული ბაზის შექმნასა და განახლებას, შევსებული დეკლარაციების მონაცემთა ბაზის ფორმირებასა და ელექტრონული (სკანირებული) ვერსიის შექმნას. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო წინასწარი რეგისტრაციის განხორციელებისას უზრუნველყოფს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უძრავი ქონების შესახებ სამინისტროს მიერ მიწოდებული ინფორმაციის აღრიცხვასა და გაცემას, მონაცემთა სისტემატიზაციას, უსაფრთხო შენახვას, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, უძრავი ქონების საკადასტრო-სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზის შექმნასა და მის განახლებას, ასევე, კანონით დადგენილი სხვა უფლება-მოვლილებების განხორციელებას. ამასთან, სამინისტრო ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უძრავი ქონების აღრიცხვა-დეკლარირებას ახორციელებს დაინტერესებული პირის მიმართვის საფუძველზე, უძრავი ქონების დეკლარაციის სათანადო წესით შევსების საშუალებით.

„**ჯი-პიი-პიი**“

დაიჯესტი

გრიგოლ ვაშაძე: საქართველო-სომხეთის შორის არასოდეს ყოფილა ისეთი ურთიერთობა, როგორც ახლაა



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძის განცხადებით, საქართველოსა და სომხეთის შორის არასოდეს ყოფილა ისეთი ურთიერთობები, როგორც ახლაა. მისივე თქმით, ორი ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის ხშირი შეხვედრები სწორედ იმისთვის იმართება, რომ ამჟამინდელი ურთიერთობის შენარჩუნება მოხდეს. „მე და ედვარდ ნალბანდიანი ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობა განვიხილეთ. მინდა გითხრათ, რომ საქართველოსა და სომხეთის შორის არასოდეს ყოფილა ისეთი ურთიერთობა, როგორც ახლაა, თუმცა ჩვენ არასოდეს გვქონია ცუდი ურთიერთობები. ამაში უზარმაზარი წვლილი აქვთ შეტანილი ორი ქვეყნის პრეზიდენტებს“, - განუცხადა უურნალისტებს გრიგოლ ვაშაძემ სომეხ კოლეგასთან შეხვედრის დასრულების შემდეგ. შეგახსენებთ, რომ ედუარდ ნალბანდიანი საქართველოს ოფიციალური ვიზიტით სტუმრობს.

„**ჯი-პიი-პიი**“

მიხეილ სააკაშვილი საპარლამენტო მუშაობის წარმოადგენლებს შეხება

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საპარლამენტო მუშაობის წარმომადგენლებს შეხვდა. როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ უურნალისტებს დეპუტატებმა განუცხადეს, საუბარი ქვეყნის წინაშე არსებულ პრობლემებსა და მნიშვნელოვან საკითხებს შეეხო, მათ შორის ქვეყნის პირველი პირისა და უმრავლესობის მსჯელობის საგანი საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების საკითხზე მიღწეული შეთანხმება გახდა. უმრავლესობის წევრების თქმით, პრეზიდენტისა და ხელისუფლების მიზანია, არჩევნები სამართლიან გარემოში ჩატარდეს და ამით სხვა ქვეყნებს მაგალითი მისცეს. აღსანიშნავია, რომ საარჩევნო თემაზე შეთანხმების გარდა საუბარი ქვეყანაში სხვადასხვა სექტორში დაგეგმილ პროექტებსაც შეეხო, მათ შორის ყურადღება ბათუმსა და ანაკლიაზე გამახვილდა.

„**ჯი-პიი-პიი**“

პრეზიდენტი აშშ-ის კონგრესის დელეგაციას ბათუმში მასპინძლობს

როგორც პრეზიდენტის პრეს-სპიკერმა მანანა მანჯგალაძემ ტრადიციულ ბრიფინგზე განაცხადა, „ეს იმ ინტენსიური კონსულტაციების რეჟიმის გაგრძელებაა, რომელიც აშშ-სა და საქართველოს შორის არსებობს“.



„განსახილველი საკითხების სპექტრი საკმაოდ მრავალფეროვანია და როგორც საგარეო, ისე პოლიტიკურ და რეგიონის უსაფრთხოების საკითხებს მოიცავს, რაც ძალიან მნიშვნელოვანი თემაა“, - განაცხადა მანჯგალაძემ. შეგახსენებთ, რომ ამერიკელ კონგრესმენთა მორიგი დელეგაცია საქართველოს გუშინ ეწვია. მას ამჯერად კონგრესმენი დენ ბარტონი ხელმძღვანელობს. როგორც „პირველს“ ბათუმში მყოფმა ამერიკის საელჩოს წარმომადგენელმა აცნობა, დელეგაციაში 4 „დემოკრატი“ და 2 „რესპუბლიკელი“ კონგრესმენი შედის. კონგრესმენები ბათუმის „შერატონში“ ქართული ოპოზიციის წარმომადგენლებს შეხვდებიან, ოპოზიციური „ექსპრესის“ ლიდერები კახა შარტავა, ირაკლი ალასანია და დავით უსუფაშვილი ამერიკელ კონგრესმენებს ხელისუფლების მიერ შეთავაზებულ საარჩევნო ცვლილებებს და მათზე საკუთარ პოზიციებს გააცნობენ. მოგვიანებით, ამერიკელ კონგრესმენთა დელეგაციას საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია შეხვდება. მას სავარაუდოდ, გიგა ბოკერიას მოადგილე ბათუ ქუთელიაც დაესწრება. ოფიციალური ინფორმაციით, ამერიკელი კონგრესმენების ინტერესს საქართველოში გატარებული რეფორმები, დემოკრატიულობის კუთხით არსებული ვითარება და უსაფრთხოების საკითხები წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ აპრილის თვის შემდეგ, ეს ამერიკელი კონგრესმენების რიგით მეხუთე ვიზიტია საქართველოში.

„**პირველი**“

სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს ფიზიკური პირების ადმინისტრაციული წესით დაკავების უფლებამოსილება მიენიჭა



ჭათ. ასევე, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებს მათ მიერ დაკავებული პირებისთვის პირადი ნივთებისა და დოკუმენტაციის ჩამორთმევის უფლებაც მიეცათ.

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებს ფიზიკური პირების ადმინისტრაციული წესით დაკავების უფლებამოსილება მიენიჭათ. პარლამენტმა შესაბამისი საკანონმდებლო წინადადება დღეს მესამე მოსმენით დაამტკიცა. კანონის აქამდე მოქმედი ნორმით, წესრიგის დარღვევის შემთხვევაში, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელს მხოლოდ კანონდამრღვევი პირის მისი დაცვის ქვეშ მყოფი ობიექტის ტერიტორიიდან გაყვანა შეეძლო. ახალი გადაწყვეტილებით კი, სპეციალური სამსახურის თანამშრომლებს მოქალაქეთა ადმინისტრაციული წესით დაკავებისა და შემდგომში შსს-სთვის გადაცემის უფლებამოსილება მიენიჭათ.

„**ინტერპრესნიუსი**“

კონსტანტინე გამსახურდია ქვეყნიდან ფიზიკურად გამგზავრების მიუხედავად, სახელმწიფო სამსახურში რჩება

პარტია „თავისუფლების“ ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია ქვეყნიდან ფიზიკურად გამგზავრების მიუხედავად, სახელმწიფო სამსახურში რჩება. ამის შესახებ კონსტანტინე გამსახურდიამ პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე განაცხადა. „ქვეყნიდან ფიზიკურად გამგზავრების მიუხედავად გრძელები სახელმწიფო სამსახურში. ძვირფასო მეტეორიტები, ვერხები თითოეული თქვენგანის სამსახურში“, - განაცხადა კონსტანტინე გამსახურდიამ და დასძინა, რომ ქვეყანაში არსებული პრობლემების გადასაჭრელად მალ-ღონეს არ დაიშურებს, რათა ათასწლეულის უმნიშვნელოვანეს გამოწვევებს საქართველო ღირსეულად შეხვედეს. კონსტანტინე გამსახურდიამ მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო უწოდა მის მოღვაწეობას იმ საერთაშორისო ორგანიზაციებში, რომლებიც პრაქტიკულად გაერო-ს ორგანოებს წარმოადგენენ და რომელთა ხელმძღვანელებაც გამსახურდიას პარლამენტი დღეს დაამტკიცებს. მანამდე კი კონსტანტინე გამსახურდიამ პარლამენტში მის მიერ გაწეული საქმიანობა შეაფასა და ისაუბრა ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების საკითხის შემსწავლელ კომისიაზე. მისი თქმით, არ შეიძლება სახელმწიფომ და ერმა, რომელიც საკუთარ თავს პატივს სცემს, არ იცოდეს როგორ დაიღუპა მისი პირველი პრეზიდენტი. ის სახელმწიფო მოღვაწე, ვინც ქვეყნის დამოუკიდებლობა

გ ა მ ო - აცხადა და ყველაფერი გააკეთა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ძლიერებისათვის. „მინდა მადლობა გ ა დ ა გ ე უ ხ ა დ ო პარლამენტის თავმჯდომარესა და ვივე სპიკერებს. ასევე თითოეულ თქვენგანს, როგორც სახელისუფლო გუნდიდან, ისე ოპოზიციიდან მხარდაჭერისა და კომისიაში მონაწილეობისათვის“, - განაცხადა კონსტანტინე გამსახურდიამ და მათი ერთობლივი მუშაობა ნაყოფიერად შეაფასა. გამსახურდიამ ასევე იმედი გამოთქვა, რომ პროკურატურა, რომელსაც კომისიის დასკვნა გადაეცემა, გამოძიებას დაიწვეს და პარლამენტს შეთანხმებისა და მემორანდუმის თვითნებ საქმის კურსში ჩააყენებს.



„**ინტერპრესნიუსი**“

შეხვედრა საქართველოს პარლამენტში

„თუ არა თქვენ, მაუ ვინ? თუ არა ახლა, მაუ როდის?“

მას მთელი საქართველო უყვარს! ქართველ-სათვის ეს ელემენტარული და უბრალო ჭეშმარიტებაა.

საქართველოს ყველა კუთხე რომ თანაბრად უყვარს, ესეც არაა საკამათო... მაგრამ...

მაგრამ ამ საერთო-საყოველთაო სიყვარულში გამოჩნეულად მაინც ხობისა და ხობელების სიყვარულია.

რადგან აქ არის მისი ოლბადე... რადგან იგი აქაურებთან მრავალწლიანი, ფესვგადგმული მეგობრობით არის დაკავშირებული. რადგან ყველაზე ძვირფასი და საყვარელი ადამიანების სულები აქ ეგულება.

კიდევ რატომ? ალბათ იმიტომ, რომ საქართველოს პარლამენტში ხობელთა რჩეულია. მესამეჯერ არჩევა კი ჩვენს სინამდვილეში ცოტა არ იყოს, იშვიათია. ეს იმას ნიშნავს, რომ მას ენდობიან, მისი სჯერათ, უყვართ.

კაცს მეტად რა უნდა უხაროდეს, ვიდრე ეს გამოჩნეულია, დაფიქრება, ამიტომაც იგი ყველას მადლობელია, ყველას წინაშე გრძობს პასუხისმგებლობას, ზრუნავს ხობზე, ხობელებზე...

ყველაზე... განსაკუთრებულად კი ახალგაზრდებზე, რადგან იცის, ახალგაზრდობა დღეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად რომ მონაწილეობს.

რომ მას შეუძლია ეროვნული პრობლემების გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღება. რომ მას სხვა საფიქრალი გაუჩნდა. რომ ახალგაზრდობა მოითხოვს, რადგან იგი მაქსიმალისტია.

რომ ახალგაზრდობას უყვარს სამშობლო და ემზადება ძნელი და ყოველდღიური ბრძოლისთვის.

რადგან ახალგაზრდობამ იცის, რომ ადამიანის მოწოდება შენებაა და რომ შენებას მშენებელი სჭირდება.

...ასეთი ფიქრისა და განსჯის შემდეგ წამოვიდა ინიციატივა (რა მნიშვნელობა აქვს ვისი მხრიდან), ალბათ ორივე მხრიდან ბატონ გოდერძის და ხობელი სტუდენტების შეხვედრისა.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ დეპუტატი საზღვარგარეთიდან მხოლოდ ამ შეხვედრისათვის ჩამოვიდა, ხოლო მის შესახებ რად სამოცდაათზე მეტი ხობელი სტუდენტი მოვიდა საქართველოს პარლამენტში.

ყოველგვარი კომპლექსი, თუ კი რამე არსებობდა, პარლამენტის ვესტბიულშივე მოიხსნა, რაც მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წევრების დამოკიდებულებამ განაპირობა.

საქმიანი შეხვედრის ძირითად ნაწილში, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ბატონმა ივორ ტყეშუაშვილმა სტუდენტებს ორი მიმართულებით მისცა ინფორმაცია.

პირველ რიგში კი ბატონ გოდერძის პიროვნებაზე, მის მიერ გაკეთებულ საქმეებზე ისაუბრა „სოფლიურების, კულტურისა და განათლების“ ფონდის შექმნა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხობის მოსამზადებელი უფასო განყოფილების გახსნა, ინფორმაციის სასწავლო ცენტრის გახსნა 14 კომპიუტერით, დახმარების გაწევა ხელმოკლე სტუდენტებზე-ეს მხოლოდ ნაწილია ბატონი გოდერძის მიერ გაკეთებული საქმეებისა, რომელიც მხოლოდ ახალგაზრდობას ეხება. ცალკე საუბრის თემა მისი როლი რაიონის ეკონომიკური განვითარების მიმართულებით, სარემონტო-სამშენებლო სამუშაოებში, ბაგა-ბაღებსა და სკოლების, მასწავლებლების დახმარების საქმეში.

ბატონი ივორ ტყეშუაშვილს საუბრის მეორე თემას წარმოადგენდა ის პროექტები, რომლებიც განხორციელდა, ხორციელდება და განხორციელდება მომავალში ახალგაზრდობასთან ერთად. იგი ძირითადად მოიცავდა სარემონტო-სარეაბილიტაციო, სამშენებლო სამუშაოების, გზების კეთილმოწყობის, წყლის სისტემის სრული რეაბილიტაციის, მიმდინარე გაზიფიკაციის სამუშაოების შესახებ ინფორმაციას. მანვე მზადყოფნა გამოთქვა ახალგაზრდობასთან თანამშრომლობაზე აღნიშნა, რომ მათი ყოველი პროექტი, იდეა, აზრი მნიშვნელოვანი გახდება მუნიციპალიტეტის შემდგომ მუშაობაში, ჩაატარებს ყველა შესაძლო ღონისძიებებს, რათა დაეკავშირებოდნენ ხობელი სტუდენტები თავიანთი საქმის პროფესიონალებს გახდნენ და დაბრუნდნენ თავიანთ მშობლიურ მხარეში.

სტუდენტებთან შეხვედრაზე გამოჩნდა, რომ ისინი უფრო საქმის თაობაა, ვიდრე სიტყვის. ისინი გათავისუფლებული არიან ღრმებისაგან და ნათლად ჩანს მათი აქტიური პოზიცია, მათი პოზიცია კი თითქმის ერთნაირი იყო. უნდა იცოდეთ, რა გინდა და შეგეძლება თუ არა მისი

გაკეთება.

ცოტნე, ბაჩანა, თამუნა, შოთიკო, ირაკლი, გიორგი, მარი, ანი, კახა, ნინო, შმაგი, ნინო ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. ხობელ ახალგაზრდებს სურდათ გამოეთქვათ თავიანთი აზრი, დაესვათ საინტერესო შეკითხვები დეპუტატისა და გამგებლისთვის, წარმოეღინათ მათთვის ახალი, საინტერესო იდეები. დიალოგის ძირითადი თემა, მაინც კარსმომდგარი „ხობის საერთაშორისო ფესტივალი“ იყო, რომელსაც სამართლიანად, ხობის საეპიტო ბარათი უწოდეს.

საინტერესო იყო ბატონი გოდერძის თითოეული სიტყვა, პირველ რიგში მან შეაფასა სტუდენტებთან შეხვედრის მნიშვნელობა და შესთავაზა მათ მუდმივი კავშირი, ხოლო წელიწადში ორჯერ მასშტაბური შეხვედრა ორივე მხარისთვის საინტერესო თემებზე. იგი ჩვეული ალტერნატიული და სიყვარულით საუბრობდა ფესტივალზე, რომელიც უკვე მასშტაბური გახდა. ამ ფესტივალის ფარგლებში ჩვენ მოვიპოვეთ ათასამდე მეგრული სიმღერა, გამოვიცით წიგნები, დისკები, გაავრცავეთ ისინი მთელ მსოფლიოში და ვახდენ ჩვენი ფოლკლორის პოპულარიზაციას. „მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, თქვა მან, - ეს არ არის ფესტივალი ხობში, არამედ ეს არის ხობის საერთაშორისო ფესტივალი“. თუ წინა წლებში ფესტივალში მონაწილეობდა სამი ათასი რეგისტრირებული სტუმარი, 17-18 სექტემბერს, მათი რიცხვი შეიძინა ათასს მიაღწევს. ერთ-ერთი ლამაზი დღე იქნება-ანსამღ „გორდელას“ იუბილე, რომელიც ხობში, ამ ფესტივალზე აღინიშნება. მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება ხარების სახელობის მონასტრის გახსნა, რომელიც იქნება მამათა მონასტერი და პატრიარქის რეზიდენცია.

„მინდა ყველა ხობელმა მიიღოს მისი მშენებლობაში მონაწილეობა, არა მუშათა სიმცირის გამო, არამედ მინდა ამ მონასტრის მადლი გადმოვიდეს თითოეულ მათგანზე.“-აღნიშნა მან.

მანვე ხაზი გაუსვა ხობში გახსნილ, უნიკალურ ფოლკლორის მუზეუმის (მუკუ ლოლუას სახელობის) არსებობას, რომელიც აქტიურად მუშაობს ფოლკლორის კუთხით.

შეხვედრის მონაწილეებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ინფორმაცია-ხეთის ახალგაზრდული ქალაქის მშენებლობის შესახებ, რომელიც დაიწყება მომავალი წლისთვის და მშენებლობაში მონაწილეობას ოცდაათამდე ქვეყანა მიიღებს.

ბატონ გოდერძისთან შეხვედრა ყოველთვის ინიციატივასთან, ახალ იდეასთან შეხვედრას ნიშნავს, იმ განსხვავებით, რომ ყველა მისი იდეა განხორციელდება, ყოველ შემთხვევაში, ასე იყო აქამდე და იქნება, ასე გაგრძელდება.

მისი დაინტერესების სფერო კი ხობის მუნიციპალიტეტის თითოეული სოფელია. ყველა სოფელი უნდა გაიხსნას ახალგაზრდული ცენტრი, ეს იქნება ერთგვარი სტუმრების მისაღები, თავისი კომფორტული გარემოთი და ინფრასტრუქტურით.

დეპუტატმა ისაუბრა იმ პროექტებზე, რომელთა განხორციელება ხობში სულ მალე დაიწყება, ესაა ხობი-ჩხოროწუს გზა, ყულევში გაზის ქარხნის მშენებლობა, ხულონკის მშენებლობა, რომელიც მთლიანად რეგიონის სასიკეთოდ წაადგება.

ვინაიდან, სტუდენტთა მხრიდან იყო დაინტერესება, თუ როგორ მიაღწია გოდერძი ბუკიამ წარმატებებს, რა იყო ამ წარმატებების გასაღები, როგორია მისი შედეგების კარიერა, მან ჩვეული გულახდილობითა და გულწრფელობით ილაპარაკა ამ თემებზე. აღნიშნა, რომ მთავარია გქონდეს მიზანი, იმუშაო თავდადებით, იარო იმ გზით, რომელიც დღემდე გიბოძა, ასევე მნიშვნელოვანია, იყო სახსრების მძივილები და გქონდეს სიკეთის კეთების სურვილი.

შეხვედრა დასასრულისკენ წავიდა. ბატონმა გოდერძიმ კიდევ ერთხელ აღნიშნა შეხვედრის მნიშვნელობა და ამ სიტყვებით დაემთხვეა მათ: „თუ არა თქვენ, მაშინ ვინ? თუ არა ახლა, მაშ როდის?“

მანანა შულაია

ჩემმა კურსელებმა არ დამიჯერეს, როცა ვთქვი პარლამენტში მაჟორიტარ დეპუტატთან შეხვედრად მივიღოდი. მე მათ სულ ვუყვები ხობზე, ცოტათი ვეტრიახები კიდევ, რომ ხობში ხალხური სიმღერის ფესტივალი ტარდება, რომ ხობს ძალიან კარგი შვილები გაუზრდია. ჩვენ ხშირად შევიდით ხობის ვებ-გვერდზე, რადგან გვინტერესებს რა ხდება ჩვენთან. როცა წავიკითხეთ გამგებლის ინიციატივა ხობის ქუჩების ახალი სახელწოდებების შესახებ, შოთა თუთბერიძემ შემოგვთავაზა, წერილი გაგვეწავრა, რადგან ეს ნამდვილად ჩვენი თაობის სათქმელია, მაგრამ ჩვენ ჩვენი სათქმელი კიდევ დავგვრჩა, ეს არის ჩვენი ახალგაზრდობის სიტყვა ფესტივალზე და ეს იდეა გამგებლისადმი მიმართულ წერილში გავახმოვანეთ, რომ გვინდა დამოუკიდებლობის, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ქუჩებთან ერთად ხობში ფესტივალის ქუჩაც არსებობდეს, ფესტივალის ქუჩით ვიაროთ ხეთიდან-ხობამდე და ვფიქრობთ, ამაში ყველა დაგვიჭერს მხარს. ამასთანავე გვქონდა სურვილი, დეპუტატს შევხვედროდით, რომ ჩვენი სათქმელი გვეთქვა, ჩვენი ნაფიქრალი გაგვეზიარებინა მისთვის. ძალიან დიდი იყო გაცეცხა, როცა პარასკევს დაგვირეკეს, რომ ორშაბათს, დღის 12 საათზე შეგვხვდებოდა მაჟორიტარი დეპუტატი. დავიჯერეთ, რადგან

პასუხის რეჟიმში წარმართულიყო. ამის შემდეგ ჩვენ ვისაუბრეთ იმ საკითხებზე, რომელიც გვინტერესებდა. დავსვით კითხვები. თითქმის ყველა სოფლის წარმომადგენელი გამოვიდა და გააუღერა საკუთარი და საკუთარი სოფლის პრობლემა. სტუდენტთა ყველა კითხვას დეპუტატმა ამომწურვად უპასუხა. გაგვაცნო სამომავლო გეგმები, დეტალურად ისაუბრა ხობის ფესტივალსა და პატრიარქის მშენებარე რეზიდენციის შესახებ. დავგვირჩა, რომ წლის ბოლოს ისევ შეგვხვდებოდა და უკვე ჩვენგან მოისმენდა სამომავლო გეგმებს, ახალ იდეებს. თქვენ ხართ მომავალი პარლამენტარები, მომავალი გამგებლები, ამიტომ ძალიან გამიხარდა, რომ თქვენგან წამოვიდა ეს ინიციატივა, რადგან ახალი თაობა, ჩემთვის სიახლესთან ასოცირდება, ეს მამლევს სტიმულს მომავალი ურთიერთობებისა და იდეებისათვის. სწორედ ამიტომ, ჩვენი ძირითადი კითხვები დაუკავშირდა საერთაშორისო „ახალგაზრდულ ქალაქ“ ხეთის თემას. ვაკვირდებოდით, როგორ დეტალურად ინიშნავდა ჩვენს აზრებს. მასწავლებელი იყო თითოეული ჩვენთაგანისათვის დასაქმებისა და პროფესიონალურ კადრებად ჩამოყალიბების თემა, რაშიც საინტერესო რჩევები მივიღეთ. ხშირ შემთხვევაში სტუდენტთა უმრავლესობა, უმადლესი განათლების მიღების შემ-

ახალი თაობა-სიახლესთან ასოცირდება



დევ, რაიონში არ ბრუნდება და დედაქალაქში რჩება ან სხვაგან ეძებს სამუშაოს, ამიტომ ხობი კვლითი კადრების ნაკლებობას განიცდის. მსგავსი შეხვედრებით თავიანთი მუნიციპალიტეტით შეიძლება სტუდენტთა დაინტერესება, თუ ჩვენ დავინახავთ დასაქმების პერსპექტივას, აუცილებლად დავბრუნდებით და მიღებულ განათლებას საკუთარი კუთხის კეთილდღეობას მოვახმართ. ჩვენ, მომავალი თაობა ვართ და აუცილებელია ჩვენი ჩართვა ქვეყნის შე-

უფროსებიდანაც გვსმენია და ჩვენც რეალურად ვხედავთ, რომ არავის იმდენი არ გაუკეთებია ხობისათვის, რამდენიც გოდერძი ბუკიას. ხშირად იხსენებენ 90-იან წლებს-გოდერძი ბუკია მაშინ ნათელი წერტილი იყო ხობელებისთვის. ყველა კარგს ყვება მის შესახებ, ისინიც კი, მარადიულად სხვების კრიტიკით რომ არიან დაკავებული და მხოლოდ უარყოფითი მხარის დანახვა, რომ ანიჭებთ ბედნიერებას. ხობის საეპიტო ბარათი-„ხობის საერთაშორისო ფესტივალი“ კმარა ყველაფრისათვის, არაფერი ვთქვათ ყულევის ტერმინალზე. ხალხმაც შესაბამისად დააფასა, ბატონი გოდერძი უკვე მესამედ არის ხობის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში.

შეხვედრაზე 70-ზე მეტი ხობელი სტუდენტი შეიკრიბა. ვიზიტი პარლამენტის შენობაში ექსკურსი დაიწყო. ექსკურსიის შემდეგ შეხვედრა მაჟორიტარ დეპუტატთან „პირველი რესპუბლიკის“ დარბაზში გაიმართა. სტუდენტებთან შეხვედრად ხობიდან ჩამობრძანდნენ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი ივორ ტყეშუაშვილი და დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი ბატონი რევაზ წულაია. მალევე გაგვანახრა მამა მიქაელის სტუმრობამ და მისმა დალოცვამ. დეპუტატი თითოეულ ჩვენგანთან მოვიდა და პირადად მოგველაპარაკა. ჩანდა მისი უშუალოება. შეხვედრა მალევე საქმიან ატმოსფეროში წარიმართა. გამგებელმა სიტყვით გამოსვლისას დეტალურად გაგვაცნო ხობში მნიშვნელოვანი პროექტები, განიხილა სამომავლო გეგმები. გაიხსენა, თავიანთი სტუდენტობის დროს, როგორ უხსნიდნენ თანაკურსელებს თუ სად იყო ხობი. ჩვენ ეს პრობლემა ფესტივალში მოგვიხსნა, რადგან მეგობრებს ხობს ფესტივალში ვაცნობთ. დეპუტატმა შემოგვთავაზა, რომ შეხვედრის ფორმატი კითხვა-

ნებაში. ძალა ერთობაშია, ჩვენც აქედან უნდა დავიწყოთ ჩვენი შესაძლებლობების ქვეყნის საკეთილდღეოდ რეალიზება. ეს ყველაფერი კი თავდაპირველად ჩვენი კუთხიდან უნდა დაიწყო. მჯერა, ჩვენ მივიღებთ ისეთ განათლებას, რომელიც ჩამოგვყავს პროფესიონალებად. გვეჯერა, უფროსი თაობა ისე გაგვიკვლიავს გზას, რისი საუკეთესო მაგალითი ხობის მაჟორიტარმა დეპუტატმა დავგანახა. შეხვედრა თურმე სამ საათს გაგრძელდა. თურმე იმიტომ ვამბობ, რომ არც ერთხელ არ გამხსენებია დამეხდა საათისათვის. დრო ძალიან სწრაფად გასულა. ჩვენ ვისაუბრეთ, ჩვენი პირველი იდეები გახმოვანებულია, მომავალი შეხვედრებისათვის მაქსიმალურად გათვლილები ვიქნებით, რადგან ჩვენ არ მოგვემართავდნენ როგორც გამოუცდელ თაობას, ჩვენ თავს ვგრძობდით ერთგვარ პარტნიორებად, რომელთაც მომავლის ხობი უნდა შექმნას.

შეხვედრაზე ბევრს ვსაუბრობდით მომავალ ურთიერთობებზე, მომავალ შეხვედრაზე და არ შემეძლო ეს ყველაფერი არ გამეზიარებინა შენთვის „ხობის მოამბის“ მკითხველი იმ იმედით, რომ მრავალ საიმედო და გასახარებლ ამბებს მოგწერთ ის სტუდენტები, ვისაც ხობი ძალიან უყვარს და ენატრება. არ იფიქროთ, რომ ამ წერილის წერისას მარტო ვარ, აქ ჩემს გვერდით არიან ის სტუდენტები, ვინც შეხვედრის წინა დღეს ბევრი ვინერვიულეთ, ვეძებთ ჩვენი მეგობრები, რომელთაგან ბევრი ორშაბათს გამოცდებზე შევიდა იმ დიდი სინანულით, რომ პარლამენტში ვერ მოდიოდნენ, რადგან იცოდნენ, ჩვენ პარლამენტში მომავლის ხობზე სასაუბროდ გველოდებოდნენ.

თაითა ლაუხია, სტუდენტი.



მუნიციპალიტეტის გამგეობაში მიმდინარე საკითხებზე სხდომა ჩატარდა



სავარაუდო დაბალმო-სავალიანობის შესახებ, ასევე მორიგ პრობლე-მად დასახელებს ამე-რიკული „თეთრი პეპე-ლას“ დაფიქსირება. განმარტებითი მოხსე-ნებით გამოვიდა მცე-ნარეთა დაცვის რეგი-ონალური სამსახურის სპეციალისტი ხობის რაიონში გურიელ ჯორჯიკია, რომელმაც

27 ივლისს მუნიციპალიტეტის გამ-გეობის მიმდინარე სხდომაზე, მუნი-ციპალიტეტის გამგებელმა ივორ ტყეუბუჩავამ მოისმინა ტერიტორიუ-ლი ერთეულების რწმუნებულების ინ-ფორმაცია სტიქიის შედეგად სკო-ლამდელი დაწესებულებების, სკო-ლებისა და ადმინისტრაციული შე-ნობების დაზიანებული უბნების აღ-დგენის შესახებ, რომელთა უმეტესი ნაწილი ინდემურარეების მიერ ოპე-რაციულად შესრულდა. რწმუ-ნებულებმა წარმოადგინეს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალის-წინებულ სამუშაოთა მიმდინარეობა და ხაზი გაუსვეს ისეთ საკითხებს, როგორცაა, წყალდიდობის შედეგად გარკვეულ მონაკვეთზე ჩასატარებელი სამუშაოების შეფერხება. აღნიშნულ-თან დაკავშირებით, მოხსენებით გა-მოვიდა ეკონომიკისა და ინფრასტრუქ-ტურის განვითარების სამსახურის უფ-როსი იური ბუკია. რწმუნებულების მიერ გაკეთდა ინფორმაცია დატბორი-ლი საკარმიდამო და სასოფლო-სა-მეურნეო სავარგულებისა და შე-საბამისად მარცვლეული კულტურის

ისაუბრა მუნიციპალიტეტში გან-სახორციელებულ პრევენციულ ზო-მებზე, რომელიც არსებულ პრობლე-მას აღმოფხვრის. სხდომაზე დეტა-ლურად იქნა განხილული ინფრას-ტრუქტურის მოწესრიგებისათვის ბიუჯეტიდან გათვალისწინებულ სა-მუშაოთა მიმდინარეობა და ვადები. ზემოთხსენებულთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის გამგებელმა ეკო-ნომიკისა და ინფრასტრუქტურის გან-ვითარებისა და ზედამხედველობის სამსახურებს, გამგეობის რწმუ-ნებულებს თითოეულ უბანზე განსა-კუთრებით დიდი ყურადღება მოსთხოვა. „...მიმდინარე სამუშაოებს სრულყოფა და პროგრამით გათვა-ლისწინებული სამუშაოების დროუ-ლი თანაჩართვა მოგვეცემს რეალურ შედეგს. თქვენ ერთად ხართ ცოცხალი ორგანიზმი, რომელმაც ყოველდღიუ-რად უნდა განახორციელოს ხალხისა და ხელისუფლების მოთხოვ-ნა-ქვეყნის, რეგიონის, მუნიციპალი-ტეტის თითოეული სოფლის შემდგომი განვითარებისათვის“,- განაცხადა მუ-ნიციპალიტეტის გამგებელმა.

აზიის ბანკის ბანკის კონსულტანტი სოზო



28 ივნისს ხობის მუნიციპა-ლიტეტის გამგებელს ბატონ ივორ ტყეუბუჩავას სამუშაო ფორმატით ესტუმრა აზიის გან-ვითარების ბანკის კონსულტან-ტი ნიკოლას ალენი. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა რეგიო-ნალური ნაგავსაყრელის მოწე-ყობასთან დაკავშირებით წინა საპროექტო ეტაპის მოსამზა-დებელი სამუშაოები, რომელ-თა დაყრდნობით აზიის განვი-

თარების ბანკი განიხილავს აღნიშნული ნაგავსაყრელი პოლიგონის მოწე-ყობის შესაძლებლობას. შეხვედრას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი სამსახურის უფროსები და ნაგავსაყრელი პოლი-გონის ხელმძღვანელები.

თარების ბანკი განიხილავს აღნიშნული ნაგავსაყრელი პოლიგონის მოწე-ყობის შესაძლებლობას. შეხვედრას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი სამსახურის უფროსები და ნაგავსაყრელი პოლი-გონის ხელმძღვანელები.

2011 წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგ-რამით“ სოზის მუნიციპალიტეტის ყველა ტერიტორიულ ერთეულში ბრძოლა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ წარმოდგე-ნილ 94 პროექტში, საერ-თო ღირებულებით 722.601 ლარი, რომელიც სახელ-წიფო ბიუჯეტიდან გამო-იყო, გათვალისწინებულია შიდა გზების შეკე-თება-მოხრეშვა, ხიდ-ბოგირების მოწესრიგ, სა-ნიავრობო არხების გაწმენ-და, საბავშვო ბაღების, სპორტული დარბაზებისა და ეზოების, მოსაცდლების, სტადიონების კეთილმოწყობა. ცალკეულ სოფლებში მოეწყობა ავტოსადგომები, წისქვილი და ჭაბურღილები, შემოკავდება მოსახლეობის საყანე ფართობები, ასევე მოხდება წყალ-სადენი სისტემის აღდგენა-რეაბილიტაცია. ისე, როგორც წინა წლებში, პროგრამის ფარგლებში დასაქმებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობა. მუნიციპალიტეტის გამგებელი ივორ ტყეუბუჩავა ეკონომიკის სამსახურის სპეციალისტთან ერთად ადგილზე ეცნობა პროგრამით გათვალისწი-ნებული სამუშაოების მიმდინარეობას.



ბზა-ნერგებელი, მზებრკელი


ხორგა-ულამაზეს ასულთა „სამ-ფლობელი“, ასე იყო უძველესი წარ-სულიდან ცნობილი ჩვენი მუნიციპალიტეტის ეს ერთი პატარა სოფელი. მაგრამ ხორგა ოდიტგან სხვა რამითაც ბევრად განსხვავ-დებოდა სხვებისგან თუნდაც იმითაც, რომ მდინარე ხობისწყლის პირას გა-შენებულ ამ სოფელში მრავალი მეც-ნიერი, მწერალი, პოეტი, ფილოლო-გი, უფროსი, სპორტსმენი, პარ-ტიული და სამეურნეო მუშაკი გაიზა-რდა, რომელთა წვლილი უდიდესი იყო და არის ჩვენი ქვეყნის წინ-სვლაში, რომ ისინი მუდმივად აკვებდნენ საქართველოს ელიტას. პირველ ხორგაში დაიბადა და გა-იზარდა ყორა (ვიორგი) შელია-მე-ქანიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ფიზიკასაც ასწავლიდა და მათემა-ტიკასაც, შემდეგ სასწავლო ნაწი-ლის გამგეობაც შეუთავსეს... სკო-ლაში მოსვლისთანავე მან მიზნად დაისახა მოსწავლეებთან ახლო ურ-თიერთობა ჰქონდა. მისი, როგორც პედაგოგის კრედი ასეთი იყო-როცა ახალგაზრდას ზრდი, მთავარია, მას არა მარტო განათლება მისცე და იმ საგანს დაუფლო, რომელსაც ასწავ-ლი, არამედ მოსწავლის სულსაც ჩას-წვდე და ასეთი ურთიერთობით კარ-გი თაობა აღზარდო.

მართალია მას პირადად არასო-დღეს შეხვედრივარ, მაგრამ მის ძეგს და ბავშვობაში დღემდე მალაინ კარ-გად ვიცნობდი, ვიცი მათი დიდი ოჯახის ისტორია. რაც მთავარია, პა-ტიოსანი, შრომისმოყვარე, ალაღ-მართალი ადამიანი იყვნენ მისი მშობლები-ამირან შელია და ვენერა წურწუშია. მათ ოჯახში 5 შვილი გაიზარდა-ყორა (ვიორგი), გუ-ლია, ბაჩიკო, თამაზი და ინეზა. ყვე-ლა უმაღლესი განათლებით გახლავთ, ამთავან ბაჩიკომ კლასიკურ რომა-ულ ჭიდაობაში მრავალჯერ გაით-ქვა სახელი. იგი ამჟამად ამ სპორ-ტის დამსახურებული მწვრთნელია. განათლებამიღებულ ამ და-მამათ-გან გამორჩეულად იშრომა და იღვა-წა ყორა შელიამ. ჯერ იყო და სა-შუალო სკოლა წარჩინებით დაამ-თავრა, შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მექანიკა-მათემატი-კის ფაკულტეტზე გააგრძელა ცოდ-ნის მიღება. დღეს იგი ცნობილი მეც-ნიერია-დოქტორის წოდებით, მრავა-ლი წელი იღვაწა საქართველოს პო-ლიტექნიკურ ინსტიტუტში. ცხოვრების გზის გამკვალავი და-ვად მისი მებრძოლი სული გახლავთ. უნივერსიტეტდამთავრებული ახალ-გაზრდა მშობლიურ სოფელში წამო-ვიდა და პირველი ხორგის სკოლაში

ბატონ ყორას სოფელიც უყვარდა და სკოლაც, მაგრამ იფიქრა და გა-დაწყვიტა, უფრო მეტისთვის მიეღ-წია, ბევრი კეთილი საქმე გაეკეთებინა, როგორც ნიჭიერ ადამიანს. ამ სურ-ვილმა მეცნიერებისკენ უბიძგა... 1963 წლიდან ყორა შელია უკვე თბილისშია და პოლიტექნიკურ ინ-სტიტუტში ავრძელებს სწავლას, თან თეორიული მექანიკის კათედრის ასისტენტი. შემდეგ უფროსი მას-წავლებელი... 1972 წელს დაიცვა სა-კანდიდატო დისერტაცია და მიიბო-ვა სამეცნიერო ხარისხი-ფიზიკა-მა-თემატიკის მეცნიერებათა კანდიდა-ტის წოდება. გახლდათ ამჟამე კა-თედრის დოცენტი. წლების განმავლობაში ის არ გაჩერებულა. აღამ-თიენებდა და ცდილობდა, თავ-დაუზოგავი შრომითა და ძიებით, უფ-რო მეტისთვის მიეღწია... დაიცვა სა-დოქტორი დისერტაცია და დოქტო-რის ხარისხი მიიბოვა. 1987 წლიდან ის საქართველოს სა-ინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტის პროფესორის თანამდებობაზეა. 1999 წელს გახდა მეცნიერებათა აკადემი-ის წევრი-ორესპონდენტი. იყო საქარ-თველოს პოლიტიკური ინსტიტუტის თეორიული მექანიკის კათედრის გამ-გის მოადგილე. არის 35 სამეცნიერ-ო ნაშრომის ავტორი. აქვს სსრ კავ-შირის სახელმწიფო კომიტეტის გა-მომგონებელთა და აღმოჩენათა კო-მიტეტის საავტორო მოწმობა. ნიჭიერი და შრომისმოყვარე ადა-მიანი მუდამაჟამს წინსვლისკენ მიი-წევდა. მონაწილეობდა საკავშირო მნიშვნელობის კონფერენციებში, სე-

იუბილე



მინარებსა და სიმპოზიუმებში. იყო არაერთი საკანდიდატო დისერტაცი-ის ხელმძღვანელი... ბატონი ყორა შელია არა მარტო კარგი მეცნიერი, არამედ კარგი მე-უღლე, მამა და ბაბუა გახლავთ. ყავს სამი შვილი, ორი ვაჟი და ერთი გო-გონა. შვილებიდან ზვიადმა გერმანი-აში დაამთავრა ფრაიბერგის სამ-თო-მეტალურგიული აკადემია და ამჟამად იქ მოღვაწეობს. პაატა კი სამშენებლო მასალების ქარხნის დირექტორია. ქალიშვილი მაია ქიმიკო-სია, ყავს 4 შვილი. ბატონი ყორა ხუთი შვილიშვილის ბაბუაა. უფროსმა შვილიშვილმა, თავისმა სეხნამ ირ-ლანდიაში დუბლინის უნივერსიტე-ტი დაამთავრა ბიზნესის სპეცია-ლობით და დღეს მოსკოვში წამყვან სპეციალისტად მუშაობს. თამარი და ნინო სტუდენტები არიან. ასე ნაღვაწ-ნაშრომი მეცნიერი ამჟამად დამსახურებულ პენსიაზეა. ამასწინათ მას მისმა შთამომავლებმა დაბადებიდან 80 წლის იუბილე გა-დაუხადეს. ბევრი თბილი და კეთილი მილოც-ვები მიიღო ამ მაღლიანმა ადამიან-მა. მისი ცხოვრების გზა მართალია წარმატებული, მაგრამ ადვილი არ ყოფილა. ამ წლებმა შრომაში, სწავ-ლასა და სიანხლეთა ძიებაში გან-ვლო. მიღწევების პარალელურად, იგი მშვერდები ადამიანია... შელიების საიუბილეო განწყობას მეც ვუერთდები, როგორც წურწუში-ათა გვარის შთამომავალი (დღეაჩემი-ხომ წურწუშია იყო) და დიდი ხნის ლამაზ და მშვენიერ ცხოვრებას ვუ-სურვებ.

ნანი კილასონია

„სუფთა გარემო ჩვეი უფლებაა, გარემოს დაზვე-ჩვეი მოვალეობა“



1992 წელს, გაეროს გარემოსდაც-ვითი პროგრამის (UNEP) ინიციატი-ვით, საფუძველი ჩაეყარა მსოფლიო-ში ერთ-ერთ უდიდეს გარემოსდაც-ვით კამპანიას-„დავასუფთავოთ მსოფ-ლიო (Cecan Up the World)“ აღნიშ-ნული კომპანია ადგილობრივი გარე-მოს გაუმჯობესების მიზნით, აერთი-ანებს ხელისუფლების წარმომადგენ-ლებს, ბიზნესსექტორს, საზოგა-დობრივ ორგანიზაციებს, სკოლებს და ცალკეულ პირებს ფართომას-შტაბიანი აქციების და პროგრამების განსახორციელებლად. კომპანია „დავასუფთავოთ მსოფ-ლიო“ ტარდება შემდეგი ლოზუნ-ვით-„საზოგადოება ზრუნავს ბუნებაზე“ საქართველოში გარემოს დაბინძურების ერთ-ერთ მნიშვნელო-ვან წყაროს წარმომადგენს ნარჩენები, რომელთა შეგროვება-გატანა-განთავ-სება გამართული სისტემით მთელს ტერიტორიაზე ვერ ხორციელდება,

ვერ ხერხდება ნარჩე-ნების სეპარაცია (დახარისხება), არ მიმ-დინარეობს რეციკლი-რება (გადამუშავება), არის შედეგად ირდე-ვა მდგრადი განვითარ-ების ერთ-ერთი ძირი-თადი პრინციპი-ნარჩე-ნების მინიმიზაცია (შემ-ცირება). პოლიმერული მასა-ლების წარმოება კა-ცობრიობას დიდი საფრთხე შეუქმნა. XX-XXI საუკუნეებში პოლიეთილენის პარკებისა და პლასტმასის ნივთების რაოდენობამ მსოფლიო მასშტაბით 20 მილიონი ტონა შეადგინა. აღმოჩნდა, რომ პოლიეთილენის პარკის დაშლას 10-12 წელი სჭირდება, ხოლო პოლი-ეთილენისა და პლასტმასის ჭურჭელი კი პრაქტიკულად არ იშლება. ამ მა-სალამ დაარღვია ბუნებრივი ციკლი, რაც წარმოიქმნება, უნდა დაიშალოს და მიწას მიეზაროს. მურადგებამისაქვეყნა ის, რომ პო-ლიეთილენი იმუხტება უარყოფითად, მონმარებისას მისი ველი გადადის ადამიანზე და საფრთხეს უქმნის. ადა-მიანი ბუნებისაგან საკვებს იღებს არა მარტო პირით, არამედ კანით, ცხვირით, ყურით, თვალთ არსებობს მთარული გამოთქმა: „თოლ შუნს ღო თოლ ჭკუმუნს“, თვალთ ალბული საკვები ის უხილავი ფენომენია, რო-მელიც სხეულში შეიშლის ქვეცნობიერად. ამისი თვალისწინებაა ჩინე-

ლებში და იაპონელებში ნახატით და ეიროვლივებით დამკვიდრებული მკურნალობის მეთოდი (თვალისა და სხეულში შედის ნატურალური ნივ-თიერებების მიერ გამოყოფილი ენერ-გია, რომელიც გადადის მასაში E=me-ნივთიერებაში). არც ისაა შემთხვევი-თი, რომ წმინდა მამები საღმრთოს-ამსახურო წიგნებს ასომთავრულ და ხუცურ ანბანზე ბეჭდავენ. სტიქი-ური ნაგავსაყრელიდან კი რა ენერ-გია გადავა? ამიტომ, ჩვენც უნდა მივყვეთ ღვთი-ურ წესრიგს (კოსმოსი ანუ მაკრო სამყარო, „წესრიგს“ ნიშნავს, ადამი-ანი მიკრო სამყარო). ადამიანმა წეს-რიგი არ უნდა დაარღვიოს და ელე-მის ბაღი არ უნდა ჩაანაცვლოს არა-ლევალური და სტიქიური ნაგავ-საყრელით. სექტემბრის თვეში, როგორც მთელს მსოფლიოში, ასევე საქარ-თველოში, ჩატარდება კამპანია „და-ვასუფთავოთ მსოფლიო! დავასუფ-თავოთ საქართველო“. ძვირფასო მკითხველებო, მოვიწო-დებთ აქტიურ მონაწილეობას გარე-მოსდაცვით კამპანიაში. გისურვებთ ჯანსაღ გარემოში ცხოვრებას!

მედეა ქობალია, მოძრაობა „დავასუფთავოთ მსოფლიო! დავასუფთავოთ საქართველოს!“ კოორდინატორი ქ. ხობში.

ოჯახისშვილობა



ოჯახისშვილობის ტვირთის ზიდვა, ვეიქრობ, მეტად საპასუხისმგებლოა. რესპოდენტი თენგიზ ბუკია, რომელზედაც მინდა გესაუბროთ, ერთ-ერთი წარმატებული ოჯახისშვილია. მისი ოჯახის წევრებმა ხობს თაობები აღზარდეს, თაობათა აღზრდა, მოგვხსენებათ, არც ერთ დროში იოლი არ არის.

დღეს ის მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობას უძღვება, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო საკითხთა, მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსია და როგორც თავად ამბობს, ამ სამსახურში ყოფნა მართლაც, განსაკუთრებული და საპასუხისმგებლოა, თავისი გამოცდილება, საზოგადოდ საკრებულოს მუშაობა და აქ არსებული გარემო ყველა პირობას ქმნის წარმატებული საქმიანობისათვის.

როგორც ჩემთვის ცნობილია, თქვენ საკმაოდ წარმატებული პედაგოგების ოჯახში გაიზარდეთ. ბებიათქვენს, უხუცეს ქალბატონს, დამსახურებულ პედაგოგს არეთა ჩოკორაიას მრავალი თაობა აღუზრდა. როგორ

უმთავრესად მისი ოჯახისშვილობა განსაზღვრავს. მე ჩემი ოჯახის მე-4 თაობის ინტელიგენციის წარმომადგენელი ვარ. ძალიან მეამაყება ის, რომ ბაბუაჩემი თავისი დროისთვის უადრესად განათლებული ადამიანი ყოფილა და წლების განმავლობაში

თუმცა, ის დღე მაინც დაუვიწყარი იყო...
როგორი თაობა მოდის და რითი განსხვავდებიან ისინი ჩვენი თაობისგან?
-თაობათა ცვლის პროცესი ბუნებრივი მოვლენაა და იგი მუდამ

პიროვნებას, ოჯახისშვილობა განსაზღვრავს...

აისახა ეს ყოველივე თქვენს პიროვნებად ჩამოყალიბებაში?

-წილად მხვდა ბედნიერება, გავზრდილიყავი პედაგოგების ოჯახში, რომელსაც სათავეში დღემდე უდგას თითქმის 60 წლის პედაგოგიური მოღვაწეობის სტაჟის მქონე ბებიაჩემი-არეთა ჩოკორაია. მან პედაგოგიური მოღვაწეობა სრულიად ახალგაზრდამ დაიწყო და თითოეული ოჯახიდან 3-4 თაობას შეასწავლა წერა-კითხვა, რაც მერწმუნეთ, იშვიათი გამოწვევაა. მეამაყება, რომ ჩემზე გაცილებით უფროსი თაობის ადამიანები დიდი მოწიწებით იხსენებენ მის დამოკიდებულებას მოსწავლეებისადმი, მის გამორჩეულ პედაგოგიურ ტაქტსა და ალღოს. დღემდე ლეგენდად დადის, თუ როგორ გახდა მან თავის ობოლ შვილს ზამთარში პალტო და ასევე ობოლ, სიცვიისაგან გათოშილ მის თანატოლს ჩააცვა. დედანიმეც მასწავლებელია, ის პუშკინისა და ტოლსტოის ენას ასწავლის მომავალ თაობას. აფხაზეთის დედაქალაქში დაბადებულმა და გაზრდილმა გულით შეიყვარა კოლხეთის ულამაზესი სოფელი და მის მკვიდრთა უანგარო სიყვარულიც დაიმსახურა. პედაგოგი იყო ჩემი ერთ-ერთი ბიძა ზურაბ ბუკია, რომელმაც, გარკვეულ მიზეზთა გამო მოგვიანებით პროფესია შეიცვალა. ასე, რომ იმთავითვე პედაგოგების გარემოცვაში ვიზრდებოდი და ეს ბუნებრივია, კეთილად აისახა ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაში, თუნდაც, კულტურული და ზნეობრივი კუთხით, ან წიგნისადმი და საერთოდ, განათლებისადმი დამოკიდებულებით, რაც შეეხება ჩემს დას ნათიას პროფესიის არჩევა-გადაწყვეტილება, სწორედ ბებიას გავლენით მიიღო და ოჯახური ტრადიცია გააგრძელა.

რა არის ოჯახისშვილობა?
-ჩემი ღრმა რწმენით, პიროვნებას,

სრულიად ახალგაზრდა თავაკცობდა სოფელს. ასევე, განათლებული პიროვნება ყოფილა ბაბუაჩემის მამა, იმ დროისთვის რუსული ენის ჩინებული მცოდნე, რუსეთ-იაპონიის ომის ვეტერანი და სოფლის კოლმეურნეობის პირველი თავმჯდომარე. ამდენად, ოჯახზე, მის წარსულსა და საერთოდ, გენიალოგიაზე დიდადაა დამოკიდებული პიროვნების მომავალი.

თქვენი გვარის გენიალოგიის შესახებ რა იცით?

-ჩემი გვარის შესახებ ძალიან მწირი წერილობითი წყაროები მოიპოვება. ზეპირი გადმოცემით ვიცი, რომ ბუკიების გვარის ორი ჯგუფიდან ერთ ჯგუფს საეკლესიო გლეხები შეადგენდნენ. სხვათა შორის, რაოდენობით 3 ათასამდე ვართ და საქართველოს მასშტაბით მე-60 ადგილი გვიკავია.

სკოლა თუ სტუდენტობა?

-ადამიანის ცხოვრებაში სკოლით ოქროს ხანა იწყება და სტუდენტობის დამთავრებამდე გრძელდება. ჩემი სტუდენტობა ქვეყნის ცხოვრების უმძიმეს პერიოდს დაემთხვა და ნაწილობრივ, გააფერმკრთალა კიდევ რაც შეეხება სკოლას, გამომართლა, რომ პირველი მაისის საშუალო სკოლაში ვსწავლობდი, სადაც მოღვაწეობდნენ სულნათელი ადამიანები: კარლო ბუკია, კოტე ფილიპია, დურუ კობახიძე, თამარ შენგელია, ელეონორა კოდუა, ვარლამ პაჭკორია, დომინიკა ესებუა და ლუბა ბეჭვია. მათი ღონის პედაგოგები არათუ სკოლას, ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელსაც დაამშვენებდა.

გახსოვთ თუ არა თქვენი ბოლო ზარი?

-ჩემი ბოლო ზარი სამოქალაქო ომის პერიოდს დაემთხვა და ზემოთ ნაცვლად ვცდილობდით პირდაპირი მნიშვნელობითაც ბოლო არ გამხდარიყო, ზარის ხმას აკომპანიმენტს საბრძოლო ტექნიკის ხმა უწევდა,

პროგრესირდება. ასე იყო გრიგოლ ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის პერიოდიდან და ასეა დღესაც. ჩემი თაობა უფრო წიგნზე ორიენტირებული გახლდათ, ახლანდელი კი-ინტერნეტზე. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მათ ნაკლები ცოდნა გააჩნიათ. უბრალოდ, ცოდნის მოპოვების გზა შეცვლილი. მოსაწონია, რომ ეს თაობა უფრო ეკლესიურია, ვიდრე წინა თაობა.

მიზნის მისაღწევად გამოიყენებით თუ არა ყველანაირ ხერხს?

-მიზნის მისაღწევად ყველა ხერხის გამოყენება მაკიაველიზმია, რაც იმთავითვე მიუღებელია. მიზანს რომ მიაღწიო, ალბათ, ზნეობრივ ჩარჩოებს არ უნდა გაცდე.

რაზე ოცნებობდით ჯერ კიდევ მაშინ, ბავშვობაში და ადრეულ-დათ თუ არა ოცნებები?

-ბავშვური ოცნებები ყველა ადამიანს გააჩნია, ხშირ შემთხვევაში იგი უტოპიურია, ხშირად კი პროფესიის არჩევასთანაა დაკავშირებული, ამ კუთხით ნამდვილად ამისრულდა.

რას შეცვლიდით თქვენს ცხოვრებაში?

-არაფერს, რადგან ამ დროისთვის ჩემს მიერ გავლილ, ცხოვრების გზას ვეღარ გადავუხვევ. აწმყოსა და მომავალში კი ალბათ ბევრი რამის სასიკეთოდ შეცვლა შეიძლება.

რას ნიშნავს, იყო წარმატებული და თქვენ რამდენად წარმატებული ბრძანდებით?

-წარმატების მოპოვება ცხოვრების ყველა სფეროშია შესაძლებელი. როცა საქმის პროფესიონალი ხარ, ეს ალბათ, უკვე წარმატებას ნიშნავს, რადგანაც წარმატებებზე ჩამოვარდა საუბარი, მინდა თქვენს გაზეთს წარმატებები, ბევრი რესპოდენტი და კიდევ უფრო ბევრი მკითხველი ვუსურვო!

ნიმე გერბაია



დაიწყო ხელოვნურსაფარიანი მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოები

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს ქვედა ჯაპი-შაქრის უბანში, დაიწყო ხელოვნურსაფარიანი მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოები, რომელიც ხორციელდება შპს „სპორტ-არენა“-ს მიერ და რომლის ღირებულება შეადგენს 50841 ლარს.

ანიმაციური ფილმების ფესტივალი „ემო თოფუზი“ სოფში

ქალაქ ხობის კულტურის სახლის დიდ დარბაზში გაიმართა ანიმაციური ფილმების ფესტივალი „ემო თოფუზი“. სადაც წარმოდგენილია ქართული და მსოფლიო ხალხთა ზღაპრების მიხედვით შექმნილი ანიმაციური ფილმები. ჩვენებას დაესწრნენ ხობის მუნიციპალიტეტის სკოლა-მშენებლის სააღმზრდელო დაწესებულებების აღსაზრდელები. ღონისძიება დაფინანსდა „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ მიერ 4500 ლარის ოდენობით.



„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სახელით საკატიო თასი ტურნირის საშუალებით მუშაობს

ქალაქ ხობში გაიმართა ნოდარ შენგელიას სახელობის ტრადიციული ტურნირი მინი ფეხბურთში. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მამუკა ჭოხონელიძემ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხობის რაიონული ორგანიზაციის მიერ დაწესებული საპატიო თასი გადასცა ტურნირის გამარჯვებული გუნდის-სენაკის „გერისი 2“-ის მკარეს და წარმატებები უსურვა ტურნირის ორგანიზატორებს, მონაწილე ნორჩ ფეხბურთელებსა და მათ მწვრთნელებს.

მიმდინარეობს ქარის შედეგად დაზიანებული შენობა-ნაგებობების სასურავების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები

ხობის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს ქარის შედეგად დაზიანებული შენობა-ნაგებობების სასურავების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. რეაბილიტაცია უტარდება სოფლების-ხეთის, პირველი მაისის, თორსა-დღვანის, პატარა ფოთის, ჭალადიდის, საგვირის, ახალსოფლისა და ხობის 3 საბავშვო ბაღების; ხეთის (წინაგოლა), ხობის 1, ახალსოფლის, ჭალადიდის, პირველი ხორგისა და ქარიატის საჯარო სკოლებისა და ჭალადიდის, პირველი ხორგის, ქვემო ქვალონის, ქ. ხობში 2 ადმინისტრაციული, ყოფილი რაიკომის, ხობის, ქვემო ქვალონის და საჯიჯაოს კულტურის სახლებისა და პირველი ხორგის სასოფლო კლუბის ადმინისტრაციულ შენობებს. სამუშაოები დაფინანსებულია ადგილობრივი ბიუჯეტიდან 42886.99 ლარის ოდენობით და მას ახორციელებენ შპს „ათენა“ და შპს „მშენებქსერვისი“.

დასრულდა ქარის შედეგად ხობის მუნიციპალიტეტის სოფლების-ბიისა და საჯიჯაოს (გაღმა საჯიჯაოს უბანი) საბავშვო ბაღებისა და ბიის ადმინისტრაციული შენობის დაზიანებული სასურავების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სამუშაოები შესრულდა ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით და მისმა ღირებულებამ შეადგინა 5640 ლარი.



კულტურული მემკვიდრეობის კვირეული

ფ ე ს ვ ე ბ ი



სობის №1 საჯარო სკოლა

ლიოს არქეოლოგთა ყურადღება მიიპყრო და დღეს ამ ძეგლებზე მობო-ვებული მასალების გათვალისწინების გარეშე ძველი ისტორიისა და კულტურის სრულფასოვანი გააზრება შეუძლებელია. აქ მობოვებული ცალკეული ექსპონატები სხვადასხვა დროს წარმოდგენილი იყო საარბრიუკენის, ბოხუმის, ვისბადენისა და მოსკოვის თემატურ გამოფენებზე და საყოველთაო აღიარება პპოვა. სიძველეებით საქართველოში ადრეც ყოფილან დაინტერესებული.

ქართველ ერს საამაყო წარსული აქვს, ამას ადასტურებს ქართული კულტურული მემკვიდრეობა, რომელსაც მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობაში ანალოგი არა აქვს, ცხადია, ამით ჩვენც ხობის მუნიციპალიტეტს იმ ტერიტორიის ცენტრალური ნაწილი უკავია, სადაც კოლხური კულტურის ჩასახვა-განვითარება მიმდინარეობდა. ამავე რეგიონში მოიპოვება საქართველოს უძველესი ურბანისტული ცენტრი ფაზისი. აქ მთავრდებოდა აღმოსავლეთიდან მომავალი ცნობილი აბრეშუმის გზა და აღმოსავლური და დასავლური კულტურების შეხვედრებისა და დიალოგის ადგილი იყო. ცხადია, ხობის მუნიციპალიტეტის ტერი-

სულხან-საბა ორბელიანს ევროპაში მოგზაურობისას უნახავს პალეონტოლოგიური კოლექცია და შეუნიშნავს, ჩემს ბატონს ამაზე უკეთესი აქვსო, ცხადია ბატონში იგი ვახტანგ მე-6-ს გულისხმობს. ჩვენში მართალია არაპროფესიულ დონეზე, პირველი არქეოლოგიური გათხრები ზუგდიდის მაზრაში რაფიელ ერისთავმა ჩაატარა. მე-19 საუკუნეში სიძველეებისადმი განსაკუთრებული ინტერესი გამოავლინეს მოწინავე ქვეყნებმა: ინგლისმა, გერმანიამ, საფრანგეთმა, აშშ-მ. ამ ქვეყნების არქეოლოგებმა მიიღეს და ლეგენდები რეალობად აქციეს და მსოფლიოს გააცნეს შუამდინარეთის, ეგვიპტისა და ეგეოსური სამყაროს კულტურები. ეს გვაძლევს უფლებას ვთქვათ—ძველი კოლხეთი, მისი დედაქალაქი აია,

განვითარების კანონზომიერების დადგენაში, რომლის გათვალისწინების გარეშე მომავალში არანაირ აღმასვლებს არ უნდა ველოდოთ. ამავე დროს კულტურული მემკვიდრეობა უზარმაზარ ადგილს დაიკავებს ტურისტულ ინდუსტრიაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი წინაპრების ნაშრომ-ნაოფლარი სოლიდურ წვლილს შეიტანს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით წელს პირველად 1 მაისიდან 8 მაისის ჩათვლით მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა ქართული კულტურული მემკვიდრეობის კვირეული. ამ შესანიშნავ აქციაში აქტიურად ჩაერთო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა, კულტურის სამსახური, საგანმანათლებლო რესურსცენტრი, განსაკუთრებით სასიამოვნო იყო მოსწავლე-ახალგაზრდების აქტიურობა. მინდა აღვნიშნო, რომ რამდენიმე წელია ვსწავლობ ისტორიულ ძეგლებს, რომლის დროსაც ბუნებრივია, მიხდება ხალხთან ურთიერთობა, ხალხში და განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობაში დიდია წარსულისადმი ინტერესი, რაც ქართული კულტურული მემკვიდრეობის აღნიშვნის დღეებში განსაკუთრებულად გამოვლინდა, ცხადია, ყველა იმ ღონისძიებისა თუ აქციის ნახვას, რომლებიც იმ დღეებში ჩატარდა, ფიზიკურად ვერ შევძლებდი, მაგრამ ის, რაც ვნახე, ყოველგვარ მძივად აღსაქვამია.

ბრწყინვალე ღონისძიება ჩატარდა ხობის ძუკუ ღოღუას სახელობის ხალხური სიმღერის (სამეგრელო) მუზეუმში ნანა ჯალაღონიას ხელმძღვანელობით. აქ ფოლკლორის საკითხებზე გამართულ კონფერენციას დაემატა მუნიციპალიტეტის გამგებელი ივორ ტყეშუაშვილი, გამგებლის მოადგილე რალა ჩემია, კულტურის სამსახურის უფროსი ჯუღიუტა ქვარაია, საზოგადოების წარმომადგენლები, მოსწავლე-ახალგაზრდობა. ღონისძიება დაამთავრა მუზეუმთან არსებულმა ვოკალურმა ანსამბლმა და გოგონათა გუნდმა. ღონისძიება საინაოპრივად და შინაარსობრივად იმდენად კარგი იყო, რომ დასანაია, მისი ნახვა ბევრმა მეგრული ფოლკლორის მოყვარულმა რომ ვერ შეძლო.

საანგარიშო პერიოდში სულ მიღებულია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 414.7 ათასი ლარი, დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით 7.0 ათასი ლარით ნაკლები, ანუ 98.3 პროცენტით. აქედან: ხარჯების გეგმა (405.7 ათასი ლარი) დაფინანსებულია 100 პროცენტით ანუ დაზუსტებული გეგმით განსაზღვრული 405.7 ათასი ლარი ათვისებულია სრულად, არაფინანსური აქტივების ზრდა დაფინანსებულია 56%-ით, ანუ 16.0 ათასი ლარის ნაცვლად 9.0 ათასი ლარი. (საკასო ხარჯებში ასახულია 2011 წლის 01 იანვრის მდგომარეობით ანგარიშსწორების ანგარიშზე ნაშთად რიცხული 7868 ლარი). ხარჯებიდან: ხელფასები დაფინანსებულია 100 პროცენტით ანუ დაგეგმილი 247.9 ათასი ლარი გაიხარჯა სრულად.

არაფინანსური აქტივების ზრდა დაფინანსებულია 56 პროცენტით ანუ 16.0 ათასი ლარის ნაცვლად 9.0 ათასი ლარი.

მივლინება დაფინანსებულია 100 პროცენტით, ანუ დაგეგმილი 5.6 ათასი ლარი გაიხარჯა სრულად. აქედან ადმინისტრაციული პერსონალის მივლინებაზე გაიხარჯა 0.6 ათასი ლარი. წარმოდგენილი ინფორმაციით 5,0 ათასი ლარი გაიხარჯა სახელოვნებო დარგის წარმომადგენლების მივლინებასთან დაკავშირებით. მათ შორის კულტურის ცენტრის დირექტორის 24 იანვრის №100 ბრძანებით ქ. ქობულეთში შექმნილ საერთაშორისო ფესტივალზე „ზღვის პარმონა“ მივლინებულია 28 მონაწილე, რომლებიც დაფინანსდა 3780 ლარით, აღნიშნულ გაანგარიშებაში შეყვანილია ისეთი ხარჯები, როგორც კვებით მომსახურება, დიალოგების, საწესრიგებისა და მედლების შეძენა.

ადმინისტრაციული პერსონალის სამივლინებო თანხების ხარჯებზე წარმოდგენილია შესაბამისად გაფორმებული ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები.

ოფისის ხარჯები დაფინანსებულია 100 პროცენტით, ანუ დაგ-

გეგმილი 23.3 ათასი ლარი გაიხარჯა სრულად. მათ შორის კომუნალური დანიშნულებით ხარჯების დაფინანსებისათვის მიმართულია 6.8 ათასი ლარი. მიმდინარე სარემონტო სამუშაოებზე 4.0 ათასი ლარი, შეძენილია საყოფაცხოვრებო ტექნიკა 750 ლარის, სხვადასხვა დანიშნულებით გაიხარჯა 11.7 ათასი ლარი, მათ შორის გაწეულია საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯები, კომპიუტერული ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯები, შეძენილია საოფისე ინვენტარი და ა.შ. აღნიშნული მუხლიდან შეძენილია საოფისე სკამები 70 ცალი 3990 ლარის, რომელზეც შედგენილია მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტი.

ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის მუხლით გაიხარჯა 8.4 ათასი ლარი, საიდანაც შპს „არგო 99“-თან გაფორმებულია ხელშეკრულებით შეძენილია საწვავი და კულტურის ცენტრის პალანსზე რიცხული მიკრო ავტობუსზე ჩატარებულია მიმდინარე სარემონტო სამუშაოები.

რბილი ინვენტარის შეძენის ხარჯები დაფინანსებულია 100 პროცენტით ანუ დაგეგმილი 0,3 ათასი ლარი ათვისებულია სრულად.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაც დაფინანსებულია 100 პროცენტით, ანუ 100.7 ათასი ლარი ათვისებულია სრულად, აქედან: შეძენილია წიგნები და ჟურნალ-გაზეთები 7,0 ათასი ლარის. გადარიცხულია შენობის დაცვის ღირებულება 30,0 ათასი ლარი. აგრეთვე აღნიშნული მუხლიდან გაცემულია შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება 9,8 ათასი ლარის ოდენობით, გადახდილია ბუკე ლოლუას სახელობის შენობის იჯარის თანხა 1,2 ათასი ლარი. შეძენილია ცეცხლმაქრი 0,9 ათასი ლარის, სხვადასხვა დანიშნულებით გაიხარჯა 0,4 ათასი ლარი.

სხვადასხვა ღონისძიებების ჩასატარებლად გაიხარჯა 51.4 ათასი ლარი. თითოეული ღონისძიების ჩატარებაზე შედგენილია შესაბამისი გაანგარიშებები. წლის განმავლობაში დაფინანსებულია სხვადასხვა ღონისძიებები კერძოდ: საახალწლო ღონისძიება „იკებანა“, 3 და 8 მარტისადმი მიძღვნილი ღონისძიება; 9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიება; 9 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიება; ცოტენობა; 26 მაისისადმი მიძღვნი-

ლი დაზუსტებული გეგმის ფარგლებში.

კველია იმ გარემოებით, რომ არაფინანსური აქტივების ზრდისათვის დაგეგმილი 16.0 ათასი ლარიდან გაიხარჯა 9.0 ათასი ლარი, ხელფასების დაფინანსებისათვის მიმართულია 29.4 ათასი ლარი, ოფისის ხარჯების დაფინანსებაზე 2.2 ათასი ლარი, რბილი ინვენტარის შეძენაზე 0.3 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლით გაიხარჯა 8.7 ათასი ლარი, მათ შორის შეძენილია წიგნები და ჟურნალ-გაზეთები 4.0 ათასი ლარის, გაცემულია შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება 4.7 ათასი ლარი.

სასოფლო ბიბლიოთეკის საშტატო რიცხოვნობა 13 ერთეულია. დაფინანსებულია 100 პროცენტით, ანუ 43.7 ათასი ლარი ათვისებულია სრულად. აქედან ხელფასები დაფინანსებულია 35.7 ათასი ლარით, ოფისის ხარჯები 2.6 ათასი ლარით, სხვა ხარჯები და მომსახურება 5.3 ათასი ლარით. მათ შორის შეძენილია წიგნები და ჟურნალ-გაზეთები 3.0 ათასი ლარით, გაცემულია შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება 2.3 ათასი ლარი.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საშტატო რიცხოვნობა 3 ერთეულია. დაფინანსებამ შეადგინა 5.5 ათასი ლარი. აქედან ხელფასებზე გაიხარჯა 25.2 ათასი ლარი; ოფისის ხარჯებისთვის 0.3 ათასი ლარი.

ალიო მირცხულავას სახელობის მუზეუმის საშტატო რიცხოვნობა 1 ერთეულია. დაგეგმილი 3.1 ათასი ლარი ათვისებულია სრულად. აქედან ხელფასები დაფინანსებულია 2.9 ათასი ლარით; ოფისის ხარჯები 0.2 ათასი ლარით.

სახელოვნებო დარგის საშტატო რიცხოვნობა 24 ერთეულია. დაგეგმილი 68.7 ათასი ლარი ათვისებულია სრულად. აქედან ხელფასები დაფინანსებულია 61.1 ათასი ლარით, მივლინება 5.0 ათასი ლარით, სხვა ხარჯები 2.9 ათასი ლარით, სხვა ხარჯების მუხლით მიერთადად დაფინანსებულია შტატგარეშე პერსონალის შრომის ანაზღაურება.

ბუკე ლოლუას სახელობის მუზეუმის საშტატო რიცხოვნობა 6 ერთეულია. დაგეგმილი 13,4 ათასი ლარი ათვისებულია სრულად, აქედან: შრომის ანაზღაურებაზე გაიხარჯა 11.7 ათასი ლარი, ოფისის ხარჯებისთვის 0.5 ათასი ლარი, სხვა საქონელი და მომსახურება 1.2 ათასი ლარი (შენობის იჯარის თანხა).

პირველადი დოკუმენტების აუდიტით გამოიკვეთა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მიღებული თანხების ხარჯვა მოხდენილია დაზუსტებული გეგმის ფარგლებში.

შპს „სობის მოამბე“

შპს „სობის მოამბე“ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2010 წელს დაფინანსებულია 39.4 ათასი ლარით, ანუ დაზუსტებული ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნება დაფინანსებულია სრულად.

შპს სობის მოამბეს მიღებული აქვს სხვადასხვა შემოსავალი 6.4 ათასი ლარის ოდენობით. აქედან გაზეთის რეალიზაციიდან 5.8 ათასი ლარი, განცხადებების განთავსებიდან 0.6 ათასი ლარი. სულ მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 45.8 ათასი ლარი. აქედან, ხელფასების დაფინანსებისათვის გაიხარჯა 32.8 ათასი ლარი, ანუ მიღებული თანხების 71.8 პროცენტით, აქედან ძირითადი ხელფასი 28.3 ათასი ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება 4.5 ათასი ლარი. დარიცხული ხელფასიდან დაკავებულია ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი სწორად და დროულად არის გადარიცხული ბიუჯეტში.

მიღებული შემოსავლებიდან 8.2 ათასი ლარი წარმოადგენს სასტამბო ხარჯებს, მ/შ შპს „კოლოპრინტ“-თან გაფორმებულია ხელშეკრულება 2010 წლის 1 იანვარს და წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების საფუძველზე გადარიცხულია 1.0 ათასი ლარი, ხოლო შპს „კოლოპრინტ“ დადებულია ხელშეკრულება 2010 წლის 1 იანვარს და წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების საფუძველზე გადარიცხულია 5.1 ათასი ლარი. მივლინებებზე გაიხარჯა 0.2 ათასი ლარი, შეძენილია საკანცელარიო ნივთები 1.0 ათასი ლარის, სხვადასხვა დანიშნულებით გაიხარჯა 3.5 ათასი ლარი.

აუდიტორებს შპს „სობის მოამბის“ მიერ მიღებული გაიხარჯა თანხების ხარჯვის კანონიერებაზე შენიშვნები არ გააჩნიათ.

უფასო სასაღილო

უფასო სასაღილოს ასიგნების მოცულობა დამატებით და დაზუსტებულ ბიუჯეტის შესაბამისად 59.6 ათასი ლარით განისაზღვრა. ფაქტიურად დაფინანსებამ 52.6 ათასი ლარი შეადგინა, ანუ 6.9 ათასი ლარით ნაკლები. უფასო სასაღილოს მომსახურებაზე აღირიცხულია 100 უმწიკო პირი. 2010 წლის 5 თებერვლამდე 85 პირი)

მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ხელშეკრულებები გაფორმდა შემდეგ მეწარმესთან ი/მ „ეკა სახუბას“-თან გაფორმებულია ხელშეკრულება სათნობის სახლისთვის საკვები პროდუქტების და სამეურნეო საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებით, შპს „ირაკლი“-სთან გაფორმებულია ხელშეკრულებები სათნობის სახლისთვის პურის შესყიდვასთან დაკავშირებით ი/მ „ზ. კაკაბაძე“-სთან გაფორმებულია ხელშეკრულებები სათნობის სახლისთვის თხევადი აირის მიწოდების თაობაზე.

წლის განმავლობაში 52.7 ათასი ლარი გაიხარჯა შეძენაზე დანიშნულებით გაცემულია ხელფასი 9.5 ათასი ლარი, კომუნალური ხარჯების დაფინანსებაზე მიმართულია 2.5 ათასი ლარი, საიდანაც გადარიცხულია მოხმარებული წყლისა და ელენერჯის ღირებულება, შეძენილია თხევადი აირი 1.0 ათასი ლარის, შეძენილია სხვადასხვა დასახელების საქონელი, ხოლო 39.7 ათასი ლარის კვების პროდუქტებზე შეძენილი.

სოციალური დაცვის მუხლიდან გაწეულია აგრეთვე ხარჯები 19.3 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც არის ხელფასი უმწიკოთა ბინაზე მომსახურებისთვის.

აუდიტის პროცესში შემოწმებულ იქნა კვების პროდუქტების შეძენა-მიღება-ჩაბარების მდგომარეობა, რომელთა მიმართაც აუდიტორებს არსებითი ხასიათის შენიშვნები არ გააჩნიათ.

დოკუმენტი

12

შპს სობის დასუფთავება და განათება

შპს „სობის დასუფთავება და განათება“ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება სუბსიდიებით დასუფთავების ღონისძიებებიდან. დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად საეკგ-ში მანქანებზე შეადგინა 210.0 ათასი ლარით. წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით დაზუსტებული გეგმა 216.0 ათასი ლარით განისაზღვრა. ფაქტიურად მიღებული დაფინანსება 223.5 ათასი ლარი, დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით 7.5 ათასი ლარით მეტი.

2010 წლის 4 თებერვალს საზოგადოებასა და სობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შორის გაფორმებულია ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №15, რომლის საგანია: „სობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით გარე განათების მოვლა-პატრონობის მომსახურების შესყიდვა ერთ პირთან მოლაპარაკების გზით“. შესყიდვის ობიექტის მთლიანი სახელშეკრულებით თანხა 40.0 ათასი ლარით განისაზღვრა. ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2010 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი. სულ 2010 წელს შესრულებულია 40.08 ათასი ლარის სამუშაო დღე-ს ჩათვლით, ფაქტიურად მიღებული დაფინანსება იგივე.

სულ 2010 წელს საზოგადოებას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მიღებული აქვს სუბსიდია და გაწეული მომსახურების ღირებულება 263.5 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული შემოსავლების გარდა საზოგადოებას გააჩნია სხვა შემოსავლებიც (19.0 ათასი ლარის ოდენობით) გაწეული მომსახურებიდან სულ საზოგადოების მიერ მიღებული შემოსავალი 282.5 ათასი ლარის ოდენობით, სულ საკასო ხარჯმა 2010 წელს შეადგინა 288.2 ათასი ლარი (აქედან 2011 წლის 01 იანვრისათვის საზოგადოების ანგარიშზე ირიცხებოდა ნაშთი 5.7 ათასი ლარის ოდენობით) აქედან: დარიცხული ხელფასი 190.6 ათასი ლარი, საიდანაც დაკავებულია საშემოსავლო გადასახადი 37.3 ათასი ლარის ოდენობით, გაცემულია მივლინების თანხა 0.5 ათასი ლარი, შექმნილია საწვავი და სათადარიგო ნაწილები 36.9 ათასი ლარის ოდენობით. შექმნილია ელექტრო საქონელი 21.3 ათასი ლარის ოდენობით, რომლის ხარჯზე კომისიის მიერ შედგენილია შესაბამისი ჩამოწერის აქტები გარე განათების მიმდინარე შეკეთებით სამუშაოებთან დაკავშირებით.

შემდგომად შპს „აგროდეკორსერვისი“-დან ერთიანი ნარგავები 7.0 ათასი ლარის ოდენობით, გადახდილია ბიუჯეტში დღე 8.8 ათასი ლარი, 23.1 ათასი ლარი გახარჯულია სხვადასხვა დანიშნულებით (შექმნილია ინვენტარი, საკანცელარიო და სამეურნეო საქონელი, გადახდილია მოხმარებული ელ-ენერჯის ღირებულება და ა.შ).

გაწეული საკასო ხარჯების 23.8 პროცენტი ანუ 68.7 ათასი ლარი გახარჯულია ნაღდი ანგარიშსწორებით, რომელიც გახარჯა შემდეგი დანიშნულებით: გაცემული ხელფასი 61399 ლარი, მივლინება 540 ლარი, სხვა ხარჯებისათვის 6723 ლარი.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე აუდიტორებს საზოგადოების მიერ წარმოდგენილი ხარჯვის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაციის მიმართ არსებითი ხასიათის შენიშვნები არ გააჩნიათ

საფინანსო კლუბი „კოლხეთი“

შპს საფინანსო კლუბი „კოლხეთი“ სობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება სპორტული ღონისძიებების დაფინანსების მუხლის სუფიზით. 2010 წელს დამტკიცებული გეგმის შესაბამისად გამოეყო 300.0 ათ.ლარი სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 იანვრის №4 დადგენილებით ხარჯების გეგმა გაიზარდა 26.8 ათ.ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ 326.8 ათ.ლარი შეადგინა. დაზუსტებული გეგმა მუხლობრივად შემდეგნაირად განისაზღვრა: შრომის ანაზღაურება 153.5 ათასი ლარი, მივლინება 18.3 ათასი ლარი, კვება 17.8 ათასი ლარი, მედიკამენტების შექმნა 1.6 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 64.6 ათასი ლარი (აღნიშნულ თანხაში გათვალისწინებულია დავალიანების დაფარვა 21.7 ათასი ლარის ოდენობით (პ. თათაროშვილი) აღნიშნულ საფუძვლად უდევს ქ. სობის რაიონული სასამართლოს 2002 წლის აგვისტოს განჩინების (აღნიშნული დავალიანება წარმოშობილია 1997 წლიდან, როგორც ფიზიკური პირის მიერ შემოტანილი უპროცენტო სესხი). რბილი ინვენტარის და უნიფორმის შექმნის ხარჯი 25.8 ათასი ლარი, ოფისის ხარჯი (კომუნალური მიხნით) 4.4 ათასი ლარი. წარმოდგენილი ინფორმაციით დაზუსტებული გეგმაში გათვალისწინებულია სტადიონის რემონტის თანხა 23.1 ათასი ლარი და ტრანსპორტის შექმნის თანხა 26.8 ათასი ლარი, ფაქტიურად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მიღებულია სუბსიდია 325.6 ათასი ლარი და სპეც შემოსავლები 2.6 ათასი ლარი, სულ 328.2 ათასი ლარი, რომელიც წარმოდგენილი ინფორმაციით გაიზარდა შემდეგი დანიშნულებით: შრომის ანაზღაურების დაფინანსებაზე მიმართულია 141.8 ათასი ლარი, აღნიშნული თანხებიდან დაკავებულია ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი 28.4 ათასი ლარი და გადახდილია ბიუჯეტში, შექმნილია სპორტული ფორმა და ინვენტარი 30.0 ათასი ლარის, შექმნილია საწვავი 7.0 ათასი ლარის, გადაირიცხვია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაზე 22.5 ათასი ლარი. საწვერო შენატონი გადახდილია 2.4 ათასი ლარი, გადახდილია სპორტსმენთა ბინის ქირა 1.6 ათასი ლარი, შექმნილია სამეურნეო ინვენტარი 2.6 ათასი ლარი, მივლინებებზე (მ/შ სპორტსმენთა შეკვებზე) გახარჯულია 15.5 ათასი ლარი, შექმნილია საკანცელარიო საქონელი 1.0 ათასი ლარი, გადახდილია მოხმარებული ელ-ენერჯის თანხა 2.2 ათასი ლარი, გადახდილია ბიუჯეტში 9.4 ათასი ლარი, გადახდილია ქონების გადასახადი 21.7 ათასი ლარი, (პ. თათაროშვილის დავალიანება), სპორტსმენთა კვებაზე გახარჯულია 17.6 ათასი ლარი, შექმნილია მედიკამენტები 1.7 ათასი ლარის, სპორტული სამუშაოებზე გადახდილია 23.1 ათასი ლარი: მ/შორის ი/მ რომან ჯიქიასთან გაფორმებული ხელშეკრულება №57. 25.05.2010. სობის ცენტრალურ მოედანზე სარბენი ბილიკის

მოწყობის მშენებლობასთან დაკავშირებით 2.9 ათასი ლარი, წარმოდგენილია შესრულება 2010 წლის 31 მაისის 2.7 ათასი ლარზე, აღნიშნულ მეწარმესთან გაფორმდა ხელშეკრულება №59/102.08.2010, სობის სტადიონის სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით 16.1 ათას ლარზე. წარმოდგენილია შესრულება 2010 წლის 31 აგვისტოს 16.1 ათას ლარზე. მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმებულია ორივე შემთხვევაში ხარჯთაღრიცხვების შედგენისათვის. ი/მ გიორგი ჯგერენიას გადაერიცხა 0.60 ათასი ლარი, ი/მ კლარა ბერის გადაერიცხა 0.2 ათასი ლარი. ი/მ ა. ბერაისთან გაფორმებულია ხელშეკრულება 2010 წლის 23 დეკემბერს 3.2 ათას ლარზე ცენტრალური სტადიონის აღმინსტრაციული შენობის კეთილმოწყობის სამუშაოებთან დაკავშირებით. აღნიშნული თანხა წარმოდგენილი საბანკო გარანტიის საფუძველზე გადაირიცხა 2010 წლის 28 დეკემბერს, ხოლო სამუშაო ჩაბარებულია 2011 წლის 17 იანვარს. პროექტის თანხა 0.2 ათასი ლარი გადაირიცხვია ი/მ დავით ალანიაზე. შექმნილია სტრანსპორტო საშუალება 25.8 ათასი ლარის, ხოლო ტრანსპორტის მიმდინარე რემონტისათვის გახარჯულია 1.4 ათასი ლარი.

დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებათა აუდიტი

სობის მუნიციპალიტეტის გამგეობას წარმოდგენილი იმფორმაციით 2010 წლის 1 იანვრისათვის ერიცხებოდა დებიტორული დავალიანება 0.1 ათ.ლარის ოდენობით ხოლო კრედიტორული დავალიანება 14.7 ათასი ლარის ოდენობით ამასთან უნდა აღინიშნოს რომ დებიტორულ დავალიანებაში არ არის ასახული შესარგებელ სამუშაოზე საბანკო გარანტიის საფუძველზე ავანსად გაცემული თანხები 387.7 ათ.ლარის ოდენობით. აქედან შპს საქმიანობის რემონტი 2009 წლის 23 დეკემბერს გადაირიცხა 215.0 ათ.ლარი ხოლო შპს „ოხმირა-ს“ 2009 წლის 28 დეკემბერს 172.7 ათ.ლარი.

2010 წლის 1 იანვრისთვის კი კრედიტორულმა დავალიანებამ 14.9 ათ.ლარი შეადგინა აქედან 5.7 ათ.ლარი არის ვინა წლებში წარმომოხდელი დავალიანების თანხები ხოლო 9.2 ათ.ლარი წარმომოხდელი საანგარიშებო პერიოდში. აქვე აღსანიშნავია, რომ კრედიტორულ დავალიანებაში ასახულია შპს „ტოიოტა ცენ-

სახურის დაფინანსებას დააკლდა 3.0 ათასი ლარი, თავდაცვის ღონისძიებების დაფინანსებას 4.7 ათასი ლარი, ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის დაფინანსებას 96.4 ათასი ლარი, საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსებას 30.6 ათასი ლარი, სპორტული და კულტურული ღონისძიებების დაფინანსებას 13.4 ათასი ლარი, სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებას 28.6 ათასი ლარი.

4. დაზუსტებული ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების აუთენტიკობა ძირითადად გამოწვეულია ცალკეული საბიუჯეტო ღონისძიებების მიხედვით „არაფინანსური აქტივები ზრდისა“ და „საქონელი და მომსახურება“ მუხლებში დაშვებული აუთენტიკობით. იმავდროულად ხარჯების საერთო აუთენტიკობის პირობებში დასუფთავების ღონისძიებებში დაშვებულია 4.5 ათასი ლარის გადახარჯვა, ხოლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯების 96.4 ათასი ლარის საერთო აუთენტიკობის მოუხედავად სუბსიდიების მუხლში დაშვებულია 7.5 ათასი ლარის გადახარჯვა.

5. სობის მუნიციპალიტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში შეტანილი დაზუსტებების და შესრულების ფაქტობრივი მანკებულობა იძლევიან იმ მოსაზრების გამოთქმის საშუალებას, რომ ცალკეულ შემთხვევებში ადგილი აქვს მხარჯავ დაწესებულებებზე დამატებითი თანხების გამოყოფას სათანადო გათვლების გარეშე, რასაც ადასტურებს შემდეგი მონაცემები:

–ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების შედეგად ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის შენახვის ხარჯები გაიზარდა 4.3 ათასი ლარით, ფაქტობრივად კი წლიური შედეგებით აუთენტიკობამ 7.4 ათასი ლარი შეადგინა.

–გამგეობის აპარატის ხარჯები, ბიუჯეტში შეტანილი დაზუსტებების შედეგად გაზრდილი იქნა 54.0 ათასი ლარით, ხოლო საბიუჯეტო წლის ბოლოსათვის აუთენტიკობის დარჩა 25.0 ათასი ლარი.

–სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დაფინანსების გეგმა 5.6 ათასი ლარით გაიზარდა, წლის ბოლოსათვის კი აუთენტიკობამ 4.7 ათასი ლარი შეადგინა

6. ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის შესრულებაში ასახულია ისეთი თანხები, რომლებზეც წლის ბოლოს საგადასახადო დავალებები წარდგენილი იყო მომსახურე ბანკში, მაგრამ ფაქტობრივად მათი ჩამოწერა ანგარიშსწორების ანგარიშიდან განხორციელდა 2011 წლის დასაწყისში. აღნიშნულის შედეგად სკოლამდელი სააღმზრდელო განათებისა და კულტურის ცენტრის ანგარიშების შესრულებაში არასწორად არის ასახული

შესაბამისად 54196 და 7868 ლარი, რომელიც თავისთავად არასწორად აისახა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების გეგმის შესრულებაში.

7. საკუთარი შემოსავლების მქონე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ მიღებული მშობელთა შენატონები აისახება შემოსავლებში, როგორც შემოსავლები მომსახურების გაწვიდან და იმავდროულად ფაქტობრივ დაფინანსებაში აღირიცხება, როგორც სუბსიდიის თანხა. აღნიშნული ოპერაციები შინაარსობრივად და დანიშნულებით მიხედვით არ შეესაბამება საბიუჯეტო სახსრების შემოსულობებისა და ხარჯების კლასიფიკატორებს.

8. შემდგომ სრულყოფას მოითხოვს დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებათა აღრიცხვა 2010 საბიუჯეტო წლის დასაწყისში დებიტორულ დავალიანებად არ იყო აღიარებული საბანკო გარანტიის საფუძველზე ავანსად გადაირიცხული 387.7 ათასი ლარი, ხოლო კრედიტორულ დავალიანებებში აღირიცხული 4.9 ათასი ლარი წარმოადგენს ფაქტობრივ ხარჯს.

რეკომენდაციას ვაძლევთ სობის მუნიციპალიტეტის გამგეობას, შესაბამისი სამსახურებსა და დაწესებულებებს:

–ბიუჯეტის ფორმირების პროცესში მაქსიმალურად გაითვალისწინონ ხარჯების რეალურად და ოპტიმურად დაგეგმვისა და დასაბუთებულობის პრინციპი.

–ფაქტობრივად გაწეული ხარჯების აღრიცხვაში და ანგარიშგებაში ასახვისას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მათ ფუნქციონალურ დანიშნულებას.

–სასაქონლო-მატერიალური და სხვა სახის ქონების შექმნისას იხელმძღვანელონ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებით და მაქსიმალურად შეიკავონ თავი საბიუჯეტო სახსრების ავანსად გადაირიცხვის ოპერაციებისაგან.

–საბიუჯეტო წლის დასრულებამდე ჩაატარონ ძირითადი ქონების, სასაქონლო-მატერიალური სასუელობათა, ფულადი სახსრების, ვალდებულებებისა და სხვა აქტივების აღწერა ინვენტარიზაცია.

–მხარჯავი დაწესებულებების ხელმძღვანელმა პირებმა უზრუნველყონ სათანადო ღონისძიებების გატარება ფასუელობის, მასალების შექმნის და ვალდებულებათა წარმოშობის დოკუმენტურად დასაბუთებულობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

დასკვნა

მიუხედავად აუდიტის პროცესში გამოვლენილი ცალკეული ხასიათის დარღვევებისა და გამოთქმული შენიშვნებისა, მთლიანობაში სობის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ანგარიში არ შეიცავს სერიოზულ ხასიათის დარღვევებსა და დამახინჯებებს, რისი გათვალისწინებითაც ვიდლებით დადებით აუდიტორულ დასკვნას.

მ. თურაძე,
ბუღალტერ-მესაკმრტი.
რ. ღურჭკაია,
ბუღალტერ-მესაკმრტი.
ო. ციმიცია,
ბუღალტერ-მესაკმრტი.
ე. ბუღია,
დირექტორ აუდიტორი.

აუდიტორული დასკვნა



მ ე ლ ი ს ი ა

ახადება ეფებისთვის

ორგანიზმში რკინის ნაკლებობა შეივსეთ ხორცილით, ღვინითა და სოკოთი

ორგანიზმისთვის რკინა მნიშვნელოვანი და აუცილებელი ლითონია. ის შედის ბევრი ფერმენტის შემადგენლობაში, რომელთა წყალობითაც ნორმალურად მიმდინარეობს ნივთიერებათა ცვლა. ამ მიკროელემენტების დაახლოებით 60 პროცენტი არის ჰემოგლობინში, დანარჩენ პროცენტს კი, ადამიანის ორგანიზმში ინახავს ღვიძლში, ელენთასა და სხვა ორგანოებში.

რკინის უკმარისობის დროს, ადამიანის ორგანიზმში საგრძნობლად ქვეითდება ჰემოგლობინის დონე. ამას რკინადეფიციტური ანემია, ანუ სისხლნაკლებობა ჰქვია. ამ დროს მკვეთრად ირღვევა ორგანიზმის ფუნქციები. განსაკუთრებით საშიშია რკინის ნაკლებობა ორსულ ქალებსა და ბავშვებში. თუ კანისა და ლორწოვანი



გარსის სიფერმკრთალები, მომატებული გადაღლა, შრომის უნარის დაქვეითება, სისუსტე, აპათია, ყურადღების მოდუნება, ხშირი გაღიზიანება, მსხვერვალი ფრჩხილები, პრობლემური კანი, სუსტი თმა, პირის კუთხეებში ნახეთქები, თავბრუსხვევა, ყურებში შუილი, მარილიანი, მწარი, ცხარე

კერძების სიყვარული აუცილებელია, ესე იგი, უნდა ივარაუდოთ, რომ ორგანიზმში რკინა გაკლიათ.

ორგანიზმში რკინას საკვებთან ერთად იღებს, მასზე მოთხოვნა კი დამოკიდებულია ასაკსა და სქესზე. საკვებით ორგანიზმს ყოველდღე მიეწოდება 15 მილიგრამამდე რკინა. ყველაზე კარგად რკინის ათვისება ხდება უცხიმო, წითელი ხორციდან, საქონლის ღვიძლიდან, ქათმის კვერცხიდან, წიწიბურადან, ლელვიდან, მსხლიდან, ვაშლიდან, ასკილიდან და სოკოდან.

თუ ზემოთ ჩამოთვლილი სიმპტომები აღგენიწნებათ, სასწრაფოდ ჩაიტარეთ სისხლის ანალიზი და დაადგინეთ ზუსტი დიაგნოზი, რათა რკინის ნაკლებობამ სერიოზული პრობლემები არ შეგიქმნათ მომავალში.

სალეჭი რეზინი- გამომოყენოთ თუ არა იგი?

უამრავი სატელევიზიო სარეკლამო რგოლის წყალობით ბევრმა იცის პირის ღრუში მჟავა-ტუტე წონასწორობაზე სალეჭი რეზინის ზეგავლენის შესახებ, თუმცა რეგულარულ ლეჭვას აქვს სხვა დადებითი და უარყოფითი მომენტებიც.

ცოტა რამ სალეჭი რეზინის ისტორიიდან: სალეჭი რეზინი ჯერ კიდევ უძველესი დროიდან არსებობს. ასე მაგ. ინდიელები ღრძილებისა და სალეჭი კუნთების გავარჯიშების მიზნით იყენებდნენ მატყლისა და თაფლის ნარევეს. კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენის შემდეგ, თამბაქოსთან ერთად ევროპაში მოხვდა დღევანდელი სალეჭი რეზინის წინამორბედები, რომელთა სიკეთეც ვერ დააფასეს მაშინდელმა ევროპელებმა. რამდენიმე საუკუნის შემდეგ ამერიკაში მოხდა სალეჭი რეზინის ხელმეორედ დაბადება. სალეჭად გამოიყენებდნენ ნაძვის ფისს, რომელსაც სალეჭი თვისებების მისანიჭებლად ხანგრძლივად აჩერებდნენ პირის ღრუში. ეს აძენდა სალეჭი რეზინის ფართოდ გავრცელებას. „სალეჭი ინდუსტრია“ სწრაფი წინსვლა გამოიწვია სხვა მცენარეების წვენი გამოყენებამ, რომლებიც თავისი თვისებებით ემსგავსებოდნენ ლატექსს. შემდეგ დაიწყო სალეჭი რეზინში შაქრისა და სხვადასხვა არომატისატორების დამატება. 1939 წელს გამოჩნდა ამერიკელი პროფესორის ზოლინგორტის ნაშრომი, სადაც დასაბუთებული იყო, რომ მუდმივი ლეჭვა ხსნის ნერვულ დაძაბულობასა და სტრესს, რის შემდეგაც, სალეჭი რეზინი გახდა ამერიკელი ჯარისკაცების ყოველდღიური ულფის აუცილებელი კომპონენტი.

არსებობს კიდევ რამდენიმე მიზეზი, რის გამოც სალეჭი რეზინის გამოყენება სასარგებლოა ადამიანისათვის:

სალეჭი რეზინი ასუფთავებს კბილებს, თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ ამ თვალსაზრისით იგი ვერ შეედრება კბილის ჯაგირს, ვინაიდან ლეჭვისას სუფთავდება კბილების მხოლოდ ერთი (სალეჭი) ზედაპირი.

ლეჭვის პროცესში ხდება ნერვების ჭარბი გამოყოფა, რომლის ხარჯზეც პირის ღრუდან ხდება საკვების ნარჩენების ჩამორეცხვა და მოცილება;



სანგრძლივი ლეჭვის პროცესი ამკარებს ღრძილებს, რაც თავის მხრივ ეხმარება ორგანიზმს წინ აღუდგეს გინგივიტსა და პაროდონტიტს. სალეჭი რეზინს აქვს უარყოფითი თვისებებიც:

ბავშრი გაჯერებულია შაქრის შემცველი ისეთი სალეჭი რეზინის ფართო ასორტიმენტით, რომელიც იწვევს GH-ის შემცირებას და შესაბამისად, ხელს უწყობს კარიესის განვითარებას;

სანგრძლივი ლეჭვის პროცესი მავნე ზეგავლენას ახდენს ქვედა ყბა-საფეთქლის სახსრის მდგომარეობაზე, ამიტომ ამ სახსრის ანთების დროს ლეჭვა რეკომენდებული არ არის;

სანგრძლივი ლეჭვა ცვლის სახის ფორმას. სალეჭი კუნთების ჰიპერტროფიის გამო სახე კვადრატული ხდება. იცვლება თანკბილვაც, ამიტომაც არ არის რეკომენდებული სალეჭი რეზინის გამოყენება საკვების მიღების შემდეგ 10 წთ-ზე ხანგრძლივად;

სალეჭი რეზინი იწვევს კუჭის წვენი დიდი რაოდენობით გამოყოფას, ამიტომ, გასტროენტეროლოგების აზრით, სალეჭი რეზინის ლეჭვა უხმოზე იწვევს გასტრის განჩენას ან გამწვავებას;

იმედია, თქვენ გაითვალისწინებთ ყოველივე ზემოთქმულს და სწორად გამოიყენებთ სალეჭი რეზინს.

ბოსტნეულის წვენების სმა ბავშვს დაავადებას კურნავს

გაზაფხულზე წვენების მიღება ადამიანის ორგანიზმისთვის აუცილებელია. ხილის წვენი წმენდს ორგანიზმს, გამოაქვს წიღები და შხამები, ავსებს აუცილებელი ნივთიერებებით, კერძოდ, ამინომჟავებით, ვიტამინებითა და მიკროელემენტებით, რომლებიც გაზაფხულის დადგომასთან ერთად აუცილებელია ჩვენი ჯანმრთელობისთვის.

ოღონდ, ხილისა და ბოსტნეულის მხოლოდ ახალგაზრდული წვენი სასარგებლო. წვენი აუცილებლად უზმოზე დალიეთ, რადგან ამ დროს ის უფრო სწრაფად და აქტიურად მოქმედებს.

სტაფილოს წვენი აუმჯობესებს მხედველობას, კბილების სტრუქტურას, შეიცავს დიდი რაოდენობით A, B, C, D, E ვიტამინებს, კარგია, მისი დალევა სისხლნაკლებობის დროს.

ვაშლის წვენი მდიდარია რკინით, რომელიც

აუმჯობესებს სისხლის შემადგენლობას და აქტიურებს ორგანიზმის სასიცოცხლო ძალებს.

ჭარხლის წვენი ყველაზე სასარგებლოა სისხლის წითელი ბურთულების წარმოსაქმნელად და აუმჯობესებს სისხლის შემადგენლობას, წმენდს ღვიძლს, თირკმელებს, ნაღვლის ბუშტს. ჭარხლის წვენი უნდა მიიღოთ დღის განმავლობაში მხოლოდ ნახევარი ჭიქა.

კიტრის წვენი კარგი შარდმდენი საშუალებაა. ის შეიცავს კალიუმის დიდ რაოდენობას, რის გამოც, სასარგებლოა ჰიპერტონიის დროს. ასევე, აჩერებს თმის ცვენას და აუმჯობესებს მეხსიერებას.

კარტოფლის წვენი შველის კუჭის დაავადებებს. თუ ჭამის შემდეგ კუჭის არეში სიმძიმესა და ტკივილს გრძნობთ, დალიეთ უმი კარტოფლის წვენი და პრობლემა მოგეხსნებათ.

როგორ დავიცვათ შვილი სიმსუქნისაგან



სიმსუქნის უარყოფითი გავლენის შესახებ მეცნიერებს სულ ახალ-ახალი არგუმენტები მოჰყავთ. ჭარბი წონა ბავშვებშიც დიდ პრობლემას წარმოადგენს. პატარების სიმსუქნის მიზეზი მრავალია, მაგრამ არსებობს რამდენიმე ძირითადი მიზეზი, რაც ჭარბი კილოგრამების დაგროვებას განაპირობებს.

პირველ ადგილზე ზომაზე მეტი საკვების მიღება დგას, მეორეზე-ორსულობის პერიოდში დედის არასწორი კვება, მესამე გენეტიკური წინასწარგანწყობა გახლავთ, მეოთხე ადგილზე კი სხვადასხვა სახის დაავადებები: ენდოკრინული პრობლემები, პორმონული დარღვევები, სხვადასხვა სისტემის ფუნქციის მოშლა...

ყურადღებებიანი და ფრთხილი მშობელი შვილის რაციონს ზედმიწევნით აჩვენებს და ექიმის რჩევებს

ითვალისწინებს. ლიმონით, „კოკა კოლა“, ტკბილი გაზიანი სასმელები, ჰამბურგერი, ჩიფსები... ეს იმ საკვების არასრული სიაა გახლავთ, რომლებიც არც სასარგებლოა და ჭარბი კილოგრამების დაგროვებასაც უწყობს ხელს.

მშობლების პირველი შეცდომა შვილის მიმართ ლიბერალური მოპყრობაა. ისინი თავიანთ პირმშოს არაფერს უკრძალავენ და ცდილობენ, ყველანაირად გაანებივრონ, მათ შორის ნუგბართაც, რომელიც ხშირად სულაც არ არის სასარგებლო.

მეორე შეცდომა ავტორიტარული მიდგომაა, ანუ ძალით კვება. ამ შემთხვევაში ყველაზე მეტად რისკ ჯგუფში ის ბავშვები შედიან, რომელთა მშობლებიც კვებასთან მიმართებაში ძალიან მკაცრები არიან და შვილს საჭმლის ჭამას აძალებენ. 40%-ის შემთხვევაში ჭარბი წონის დაგროვებას სწორედ იმულებითი კვება იწვევს.

იმულებითი კვების შემთხვევაში დროთა განმავლობაში ბავშვს უყალიბდება გარკვეული რეფლექსი, რომელიც სტრესულ სიტუაციაში ჭამისაგან მიღებულ სიამოვნებასთანა დაკავშირებული. როცა პატარას ეს ჩვევა გამოუმუშავდება, უკვე ძალიან რთულია მასთან ბრძოლა.

ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ

რა სახის კვებას ანიჭებენ უპირატესობას ოჯახში. თუ ეს პრობლემა მოგვარებულია და ჯანსაღი კვება წესად გაქვთ, მაშინ შვილს მშვენიერ მაგალითს აძლევთ და პრობლემები თქვენგან შორს იქნება.

იმისათვის, რომ პატარა სწორ, ზომიერ და თანამიმდევრულ კვებას მიიღოს, საჭიროა მისთვის გასაგებ ენაზე განუმარტოთ, რატომ არის ასეთი დამოკიდებულება საჭირო და რა სახის საკვების მიღება არ არის რეკომენდებული.

ჯანსაღი კვება ჩვილობიდან

შვილის სწორ კვებაზე ზრუნვა მომავალმა დედიკომ ორსულობის პერიოდში უნდა დაიწყო. თავად მიიღოს ჯანსაღი საკვები, ვიტამინები და მინერალები, რათა ჩანასახი ძლიერი იყოს.

ჭარბად ხილ-ბოსტნეული-ეს არის უმთავრესი, რასაც ბავშვი პატარობიდანვე უნდა მიიღოს. ყურადღება გაამახვილეთ იმაზეც, რამდენად სათანადოდ არის პატარას ორგანიზმში უზრუნველყოფილი საჭირო ვიტამინებით, მინერალებით და სხვა სასარგებლო ნივთიერებებით. თუ ატყობთ, რომ ბავშვი მიდრეკილია სიმსუქნისადმი, საჭიროა მისი ფიზიკურად დატვირთვა და აქტიური წესით ცხოვრება. პატარობიდანვე ატარეთ სპორტზე. ბუნებრივია, დატვირთვა მისი ასაკის შესაბამისი უნდა იყოს.

როგორ ავიცილოთ თავიდან ნაღვლის ბუშტის კენჭების ჩალაბება



სანადვლე გზების დისკინეზია არის ნაწლავებში ნაღვლის გადმოძინების დარღვევა. ის შეიძლება იყოს: ჰიპერკინეტიკური, ანუ, როდესაც სანადვლე გზების გლუვი კუნთების კუმშვა დიდ მომატებულია და ჰიპოკინეტიკური, როდესაც მოძრაობები შენეებულია.

თუ ადამიანს აქვს ჰიპოკინეტიკური დისკინეზია და ამას თან ახლავს გენეტიკური ფაქტორიც, ნივთიერებათა ცვლის დარღვევისადმი, ანუ კენჭების წარმოქმნისადმი, მართლაც არსებობს ხელსაყრელი პირობები ნაღველკენჭოვანი დაავადების განვითარებისთვის.

თუ ნაღვლის ბუშტი ნორმალურად ფუნქციონირებს, მხოლოდ გენეტიკური მიდრეკილება დაავადების განვითარებისთვის საკმარისი არ არის, რადგან ბუშტი შეკუმშვისას გადმოსვრის კენჭის წარმოსაქმნელად განწყობილ ნაღველს და მასში ნაღველი აღარ დაილექება. ჰიპოკინეზის დროს კი ბუშტი დარღვეულია სფინქტერის მუშაობა. თუ ამას დაერთება რამე ინფექცია და კვების რეჟიმიც დარღვეულია, მაშინ ყველა პირობა იქმნება კენჭების წარმოსაქმნელად.

როცა შესაბამისი საციცაბლიტი დასვათ ჰიპოკინეტიკური დისკინეზიის დიაგნოზს და ნაღვლის ბუშტში ჯერ კიდევ არ ჩანს კენჭები, შესაძლებელია კენჭოვანი დაავადების ეფექტური პროფილაქტიკა. კერძოდ, აუცილებელია კვების რაციონში მცენარეული ცხიმების ზომიერად ჩართვა, ცხოველური ცხიმებისა და ცხიმოვანი რძის პროდუქტების შეზღუდვა. დღის რაციონი კი მდიდარი უნდა იყოს უჯრედისით, მაგალითად, ხილით, ბოსტნეულით, ღეროვანებითა და მწვანე ხილით. ასევე, აუცილებელია დღის განმავლობაში აქტიური მოძრაობა და მსუბუქი ვარჯიშების ჩატარება.

ჰიპოკინეტიკური დისკინეზიის დროსაც იზღუდება ცხოველური ცხიმები და ავადმყოფს ენიშნება საზომოზე და დაამშვიდებელი საშუალებები.

ნაღველს და მასში ნაღველი აღარ დაილექება. ჰიპოკინეზის დროს კი ბუშტი დარღვეულია სფინქტერის მუშაობა. თუ ამას დაერთება რამე ინფექცია და კვების რეჟიმიც დარღვეულია, მაშინ ყველა პირობა იქმნება კენჭების წარმოსაქმნელად.

როცა შესაბამისი საციცაბლიტი დასვათ ჰიპოკინეტიკური დისკინეზიის დიაგნოზს და ნაღვლის ბუშტში ჯერ კიდევ არ ჩანს კენჭები, შესაძლებელია კენჭოვანი დაავადების ეფექტური პროფილაქტიკა. კერძოდ, აუცილებელია კვების რაციონში მცენარეული ცხიმების ზომიერად ჩართვა, ცხოველური ცხიმებისა და ცხიმოვანი რძის პროდუქტების შეზღუდვა. დღის რაციონი კი მდიდარი უნდა იყოს უჯრედისით, მაგალითად, ხილით, ბოსტნეულით, ღეროვანებითა და მწვანე ხილით. ასევე, აუცილებელია დღის განმავლობაში აქტიური მოძრაობა და მსუბუქი ვარჯიშების ჩატარება.

ჰიპოკინეტიკური დისკინეზიის დროსაც იზღუდება ცხოველური ცხიმები და ავადმყოფს ენიშნება საზომოზე და დაამშვიდებელი საშუალებები.

ნოდარ ფინგერის ხსოვნის დღე მეოცე საიუბილეო ტურნირი



18-23 ივნისს ქ. სობში ნოდარ შენგელიას სახელობის სტადიონზე ჩატარდა მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი რიგით მეოცე საიუბილეო ტურნირი მინი-ფეხბურთში.

შეჯიბრებაში 8 გუნდი იღებდა მონაწილეობას, რომლებიც 1999-2000 წლებში დაბადებული ნორჩი ფეხბურთელებით იყვნენ დაკომპლექტებული.

A ჯგუფში ასპარეზობდნენ ხობის „იმედი-2“, სენაკის „ეგრისი-2“, მარტვილის „მარტვილი“ და აბაშის „რიონი“. ჯგუფური თამაშების შემდეგ ნახევარფინალში თამაშის უფლება A ჯგუფიდან ხობის „იმედი“ და სენაკის „ეგრისი-2“ მოიპოვეს. ხოლო B ჯგუფიდან-სენაკის „ეგრისი-2“-მა და მარტვილის „მარტვილი“-მ, რომლებიც ნახევარფინალში ასე დაწვეილდნენ: „იმედი“ ხობი-„მარტვილი“ მარტვილი, „ეგრისი“ სენაკი-„ეგრისი-2“ სენაკი.

ორივე ნახევარფინალური მატჩი დაძაბულად წარიმართა. მარტვილებმა შესძლეს მასხინძლების დამარცხება და ფინალში გავიდნენ. ხოლო, სენაკელთა ორთაბრძოლაში უძლიერესი „ეგრისი-2“-ის გუნდის ნორჩი ფეხბურთელები აღმოჩნდნენ და მათაც ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს. მესამე ადგილისთვის მატჩში ერთმანეთს ხობის „იმედი“ და სენაკის „ეგრისი“ დაუპირისპირდნენ, რომელიც სობელთა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით დამთავრდა.

ამრიგად, მესამე ადგილზე ხობის „იმედი“ გავიდა (მწვრთნელი ვლადიმერ ჯამბურია, მთავარი სპეციალისტი ზურაბ ლატარია).

ფინალური მატჩი სენაკის „ეგრისი-2“-სა და მარტვილის „მარტვილს“ შორის თავიდანვე თანაბარ ორთაბრძოლაში მიმდინარეობდა, თუმცა, სენაკელთა უპირატესობა მალევე გამოიკვეთა და მათ მეტოქე დიდი ანგარიშით დაამარცხეს. მეორე ადგილი მარტვილის „მარტვილს“ (მწვრთნელი ლევან ჯღარაკვა, დირექტორი ჯესი სურმაკვა) ერგო.

ნოდარ შენგელიას თასის გამარჯვებული სენაკის „ეგრისი-2“ ფეხბურთელთა გუნდი (მწვრთნელი თამაზ ხუხუა, დირექტორი ლევან ხუხუა) გახდა.

პირველ, მეორე, მესამე ადგილზე გასული გუნდები და მათი ფეხბურთელები თასებით, შესაბამისი დიპლომებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ.

ტურნირზე სხვადასხვა ნომინაციებში საუკეთესოებისათვის დაწესებული იყო პრიზები:

საუკეთესო მეკარედ თამაზ ჯიშკარიანი („ეგრისი-2“-სენაკი) აღიარეს; საუკეთესო მცველი ირაკლი შულაია („იმედი“-ხობი) გახდა; საუკეთესო ნახევარმცველის ტიტული ლუკა შინიას („იმედი“-ხობი) ერგო; საუკეთესო თავდამსხმელი დავით ჯიჭონია („ეგრისი-2“-სენაკი) აღიარეს; ტურნირის ბომბარდირი 15 გატანილი გოლით კახაბერ პერტია („ეგრისი-2“-სენაკი) გახდა; ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად ერთხმად გიორგი ჯეჯეია („ეგრისი-2“-სენაკი) აღიარეს; ტურნირის ყველაზე ტექნიკური პრიზი ცოტნე ლეინჯილიას („ეგრისი“-სენაკი) ერგო; მაყურებლის სიმპათიის პრიზის მფლობელი ცოტნე ტურენკო (მარტვილის „მარტვილი“) გახდა; პერსპექტიული ფეხბურთელის სახელი არჩილ გვაზავამ (მარტვილის „მარტვილი“) დაიმსახურა; საუკეთესო გოლის ავტორი თედო კალანდია („იმედი“ ხობი) გახდა.

პრიზი დააწესა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხობის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ ბატონმა მამუკა ჭოხონელიძემ, მან სიტყვით მიმართა მონაწილე ფეხბურთელებს, გულშემატკივრებს, დამსწრე საზოგადოებას და საუკეთესო სურვილები, წარმატებები უსურვა.

პრიზი ნოდარ შენგელიას კლასელებმაც დააწესეს.

ტურნირის არსებობის ისტორია

აში ერთადერთმა გოგონამ-ქვემოქვალონელმა მიმოზა ლემონჯავამ 2006 წლის შეჯიბრებაზე იასპარეზა, რომელსაც წელს დიპლომი და პრიზი გადაეცა. დაჯილდოვდა ასევე ტურნირისა და გათამაშების ოცივე მონაწილე, მთავარი მსაჯი ლევან ნოდია, მონაწილე გუნდების მწვრთნელები და ფეხბურთელები, რომლებსაც საჩუქრად კეპები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

ყველა ზემოთხაზოვნილი პიროვნებას დიპლომები და პრიზები გადაეცათ.

ტურნირის მაღალ დონეზე ჩასატარებლად თასები, პრიზები, დიპლომები, მედლები და სხვა ფასიანი საჩუქრები ნოდარ შენგელიას ძმამ ბატონმა გივი შენგელიამ შეიძინა.

დაჯილდოების ბოლოს, სამეგრელო-ზემო სვანეთის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა ბატონმა ზვიად ერქვანიამ (პრეზიდენტი სერგო კვარაცხელია) ამ შეჯიბრების ოცწლიანი ორგანიზაციისათვის და ფეხბურთში გაწეული მუშაობისათვის ბატონები გივი შენგელია და ზურაბ ლატარია დააჯილდოვა.

აღსანიშნავია, რომ ამ ტურნირში მონაწილეობდნენ ფეხბურთელები, რომელთაც საქართველოს ნაკრების დირექტორი სხვადასხვა ასაკობრივ ახალგაზრდულ და ეროვნულ გუნდებში წარმატებით დაუცათ.

ტურნირის დაჯილდოების დამთავრების შემდეგ დამსწრე საზოგადოებამ, სტუმრებმა, ტურნირის ორგანიზატორებმა, მეგობრებმა და ოჯახის ახლობლებმა ნოდარ შენგელიას საფლავს პატივი მიაგეს.

ნანა კეხულარია.

ნუიკითხეთ, სინტერესთა! სკორტული თამაშების აგრესიას იჭვივს

ფსიქოლოგების აზრით, ისეთი თამაშები, რომლებიც სპორტის კატეგორიისაა, მაგალითად ფეხბურთი, უფრო მეტ გალიზიანებას და ნერვულ აღზნებას იწვევს, ვიდრე მაგალითად თამაში, სადაც ხალხის მოკვლა გეგვალებათ. ფსიქოლოგებმა ჩაატარეს პატარა ექსპერიმენტი, სადაც მონაწილეებს გაუზომეს გულის რით-



მი და ტვინის შკალის აქტივობა. ამის შემდეგ ექსპერიმენტის მონაწილეები დასვეს და ათამაშეს ფეხბურთი. თამაშამდე გაზომილი რითმი მათს დროს გაზომილი რითმი 70%-ით აღემატებოდა. სიბოროტე, რომელსაც ადამიანი გამოხატავს, მაგალითად რომელიმე მონსტრის მოკვლის დროს, არარეალურია, რადგან ეს პერსონაჟი არის კომპიუტერული, ხოლო სხვასთან ერთად, როდესაც ფეხბურთს თამაშობ, გინდა არ გინდა აგრესია ღვივდება და ემოციურად იძაბები.

ამ აგრესიაზე ზრუნვა ზოგიერთმა სახელმწიფომ უკვე დაიწყო. მაგალითად ინგლისში და ამერიკის შეერთებულ შტატებში, თუ სრულწლოვანი არ ხარ, ვერ შეიძენ ისეთ თამაშს, რომელშიც ძალადობის ელემენტებია გამოყენებული. ჩემი აზრით, ეს კანონი ჩვენთანაც უნდა შემოვიდეს, რათა პატარა ბავშვების ფსიქოლოგია ადრეულ ასაკშივე არ შეირყეს. შარშან სპორტული თამაშების გაყიდვებმა დისკებმა 80 მილიონს მიაღწია.

ცოფის პროფილაქტიკისათვის დროუნი ვაქცინაცია-გადაჩენილი სისოცსა



აუცილებლად ჩაუტარეთ ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, რომელიც დაიცავს მათ დაავადებისგან და დიდ საფრთხეს აგარიდებთ თქვენ და გარშემო მყოფ პირებს.

აღრილი ცხოველის (ძაღვი, კატა) რევაქცინაცია აუცილებელია ყოველ 2 ან 1 წელიწადში ერთხელ, ვაქცინის თანდართული ინსტრუქციის შესაბამისად. ცოფზე საეჭვო ცხოველის მიერ სხვა ცხოველის, ან ადამიანის დაკბენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეატყობინეთ ვეტერინარს.

ცოფით დაავადებული ცხოველისთვის დამახასიათებელია აგზნებადობა, აგრესიულობა, მოწყენილობა, გაძნელებული ყლაპვა, დორბლიანობა, შეზღუდული მოძრაობა ან მოძრაობის უნარის დაკარგვა. აღნიშნული სიმპტომების განვითარების შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეატყობინეთ ვეტერინარს. გარეული „მოხეტიალე“ და უცნობი ცხოველების მიერ თქვენი ცხოველის დაკბენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ შეატყობინეთ ვეტერინარს.

ცხოველის იზოლაცია (ეზოდან გაუსვლელობა) არ ნიშნავს, რომ მას არ შეიძლება დაემართოს ცოფი, რადგან შეიძლება მას კონტაქტი ჰქონდეს ეზოში შემოსულ უცხო, ავადმყოფ ცხოველთან.

ცხოველის გასეირნება უნდა ხდებოდეს აღიკაპით.

ცხოველისაგან მიყენებული ტრამპული დაზიანებები (ნაკბენი, ნაკაწრი, დაღორბლილი არე) სასწრაფოდ

ჩამოიბანეთ საპნით და გამდინარე წყლით და დაუყოვნებლივ მიმართეთ ანტირაბიულ კაბინეტს. გასხოვდეთ, ცოფი განკურნებადი დაავადებაა. მისი თავიდან აცილება შესაძლებელია დროული ვაქცინაციით. ცოფი კლავს, მაგრამ დროულად ჩატარებული ვაქცინაცია-ეს არის გადარჩენილი სიცოცხლე.

აუცილებელია, ვეტერინარის მიერ განხორციელდეს კლინიკური დაკვირვება იმ შინაურ ცხოველზე, რომელმაც დაკბინა სხვა ცხოველი ან ადამიანი. დაკვირვება უნდა გრძელდებოდეს 10 დღე.

დაუშვებელია ცოფზე საეჭვო ცხოველის მოკვლა და გვაძის გადაგდება. მორიდეთ ბავშვები უცხო ცხოველებთან შეხებას, თამაშს, განუმარტეთ მათ, არ შეეხონ ავადმყოფ ცხოველს, ცხოველის ლეშს.

სხეულზე ნაკბენის მსგავსი დაზიანების შემთხვევაში, დეტალურად გამოითხეთ ბავშვებს მათი წარმოშობის მიზეზები. ნუ დატოვებთ ბავშვებს შინაურ ცხოველებთან მეთვალყურეობის გარეშე.

გასხოვდეთ, დაგვიანებული ვაქცინაცია შესაძლოა სავალალო აღმოჩნდეს. დღესაც ხობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ წარმოებული სტატისტიკის მიხედვით, ყოველწლიურად ფიქსირდება შინაური თუ გარეული ცხოველების, მღრნელების მიერ ადამიანთა დაკბენის, დაკაწრის, დაღორბლების მრავალი ათეული შემთხვევა. თითოეულ ასეთ შემთხვევაში მოქალაქემ დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს ხობის მუნიციპალიტეტის საავადმყოფოს ან-

ტირაბიულ კაბინეტს, სადაც მათ აღმოუჩენენ კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას.

მონიტორინგს შემოსულ მოქალაქეთა ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ჩატარებაზე, სისტემატურად ახორციელებს ხობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი.

ჯუშბერი ტურაბა,
ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ექიმი-პროფილაქტიკოსი.

ცოფი (პიდროფობია) მწვავე ვირუსული, ზოონოზური დაავადებაა, რომელიც ავადდება ყველა ბუბუქოვარი, მათ შორის ადამიანი, დაავადებულ ცხოველთან კონტაქტის-კბენის, დაკაწრის, დაღორბლების შედეგად. დაავადება მიმდინარეობს ცენტრალური ნერვული სისტემის მძიმე, შეუქცევადი დაზიანებით და სიკვდილით მთავრდება. მისი თავიდან აცილების ერთადერთი გზა ანტირაბიული (ცოფის საწინააღმდეგო) აცრების დროული და კვალიფიციური ჩატარებაა.

ინფექციის ძირითად წყაროს წარმოადგენს როგორც შინაური, ასევე გარეული ცხოველები: ძაღვი, კატა, მელია, მგელი, ტურა, მღრნელები და სხვა. თეორიულად დასაშვებია ინფექციის გადაცემა ადამიანიდან ადამიანზე, მაგრამ ეს დოკუმენტურად არ არის დასაბუთებული, თუ არ ჩავთვლით თვალის რქოვანის გაღანერგვით გამოწვეულ შემთხვევას.

თუ თქვენ გყავთ შინაური ცხოველები:

ხსოვნა

ელგუჯა ლაგვილაგა

როგორ გვიჭირს იმის დაჯერება და შეგუება, რომ ჩვენს გვერდით არ ხარ, გაუსაძლისი გახდა ეს ექვსი თვე. ჩვენი გულისტკივილის გადმოცემა სიტყვებით ძალიან ძნელია.

28 ივნისი შენი დაბადების დღე იყო, შენ რომ ასე გიყვარდა... წელს პირველად შეგხვდით უშენოდ, საფლავზე მოგივიწია ამ დღის აღნიშვნა. შენ მარტო კარგი მამა და მეუღლე კი არა, ჩვენი თბილი და უსაყვარლესი მეგობარი იყავი. შენს ერთადერთ შვილს კაცობის მაგალითის აძლევდი, განსაკუთრებულ სიბოროტს და სიყვარულს ანიჭებდი, შესაშური მამა-შვილური დამოკიდებულება გქონდათ.

ძალიან გვენატრები. გულში ჩაკლული ტკივილით გილოცავთ დაბადების დღეს. შენ ისე იცხოვრე, გვეკერა, სამუდამო სასუფეველშიც პირნათელი იქნები. ჩვენ კი უფალს შევავედრებთ შენს სათუთ სულს და ვთხოვთ, დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი.



ოჯახი.

სარედაქციო ყულაბიდან

საქართველოს საჯარო სკოლებში ბოლო ზარი დაირეკა. ტრადიციულად მე-12 კლასელები სკოლაში თეთრი ფერის პერანგებით და ფერად-ფერადი ფლომასტერებით „შეიარაღებულები“ გამოცხადდნენ, მათ ხომ ერთმანეთისათვის სამასსოვრო წარწერები უნდა დაეწერათ. სეველიანია, რომ მათი ბავშვობა სკოლის კედლებში დარჩა. როცა სკოლას ამთავრებ, ფიქრობ, რომ ეს კარგია, მაგრამ დრო გადის და უფრო აფასებ სკოლაში გატარებულ წლებს, რამდენი ტკბილი მოგონება გახსენდება. ჩემს შემთხვევაშიც ასე მოხდა, როცა ამ სტატიის წერას შევეუდექი, თვალწინ ჩემი ბოლო ზარი წარმომიდგა, ოდნავ განსხვავებული; ჩემი კლასითა და მასწავლებლებით, რომლებსაც დღესაც დიდი სიყვარულით ვხსენებ.



I საჯარო სკოლა

მშვიდობით ბავშვობის წლები...



II საჯარო სკოლა

თანაბრად უნაწილებდა სიყვარულს. შემძლია დაუსრულებლად ვილაპარაკო მასზე, თუმცა ვერასოდეს შევძლებ სათქმელის ბოლომდე თქმას. მნელია მოძებნო სიტყვები, რომლებიც მისი პიროვნული ღირსების აღწერაში დამეხმარება, თამამად ვიტყვი, რომ მფავდა მასწავლებელი, რომელიც იყო: ფსიქოლოგიც, მასწავლებელიც, დედაც, კაციც და ქალიც, ადამიანი, რომელიც იყო მოსიყვარულე და სიკეთით სავსე.“

მართალია, ბოლო ზარმა ყველა სკოლაში ერთდროულად ჩამორეკა, მაგრამ სადღესასწაულო კონცერტები სხვადასხვა

რულით ვიხსენებ. როცა სკოლის მოსწავლეებს შევხვდი, რომლებიც ცხოვრების ასპარეზზე გასვლას ახლა იწყებენ, მათთან საუბარმა ნათლად დამანახა ის, რომ წარმატებული თაობა იზრდება. პირველ სკოლას ოთხი მედალოსანი ყავს. ვფიქრობ, ყველაფერი ნათელია. ბავშვებმა ჩემთან საუბარში დიდი სიყვარულით გაიხსენეს მათი პირველი მასწავლებლები, ისინი, ვინც მათ ანი და ბანი შეასწავლა და დედაენის სიყვარულს ახიარა. ბევრი ისაუბრეს პედაგოგებზე, სკოლის დირექტორებზე, მათ უზადო მხარდაჭერაზე. თითოეულ მათგანს, რასაკვირველია, თავისი საყვარელი მასწავლებელი ყავს, რომელიც გამორჩეულად უყვარს და პატივს ცემს. მე მათ ჩამოთვლას არ შევეუდეები, მხოლოდ ერთს ვიტყვი და ამისათვის ვფიქრობ, არც არავინ დამპირახავს: პირველი საჯარო სკოლის უკვე ყოფილმა მოსწავლემ ნინო თეგეტაშვილმა სევდიანად წარმოთქვა აწ გარდაცვლილი მათი სკოლის დირექტორის ლალა თათარიშვილის სახელი და გვარი; „ახლა რომ ცოცხალი ბრძანდებოდეს, უწინდებურად შემოაღებდა ოთახის კარებს და გმეტყვოდა: „აქ ხართ ჩემო ლამაზებო? ხომ არაფერი გიჭირთ, ჩემი დახმარება ხომ არ გჭირდებათ?“ ჩემი თანატოლები ალბათ დამეთანხმებიან, რომ მისი მსგავსი ადამიანი იშვიათია, თითოეული ვერძნობდით, რომ ყველა ბავშვი მისი შვილი იყო, თითოეულს



ნოქინების საჯარო სკოლა

დღეებში ჩატარდა. ღონისძიებები ერთმანეთისაგან განსხვავებული და საინტერესო იყო, სცენაზე ისმოდა სასიამოვნო მუსიკის პანგები, სასაცილო პაროდულ ნომრებზე, ბავშვებთან ერთად მასწავლებლებიც ხალისობდნენ. მათ გზა დაულოცეს მოსწავლეებს და წინსვლა და წარმატებები უსურვეს. ჩვენც ვუერთდებით მათ. — კურსდამთავრებულებო, გისურვებთ, რომ დალოცვილი ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების ფართო ასპარეზი.

ნიკო ბერბაია

ინტერნეტიდან ბოსტნეულის ოჩქესტჩი



ვენის „ბოსტნეულის ორკესტრი“, ქმნის უნიკალურ მუსიკას მათი დამზადებული ბოსტნეულის ინსტრუმენტებისგან, ჯგუფი დიდხანია არსებობს და მათ უკვე კარგად იციან თუ რომელ ბოსტნეულს უფრო კარგი უღერადობა აქვს. ვენის ბოსტნეულის ორკესტრის კონცერტის ჩასატარებლად სჭირდებათ 70 კილოგრამი ბოსტნეული.

ყავა წნევას ახსნევს

ამერიკელმა მეცნიერებმა უარყვეს თეორია, რომ ყავის უხვი და რეგულარული სმა არტერიული წნევის მატებას იწვევს. ახალი ორღანის უნივერსიტეტის მეცნიერმა თანამშრომლებმა გააანალიზეს 33 წლის განმავლობაში დაგროვილი მონაცემები 170 000 ამერიკელის ყავის სმის ჩვევისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. მათი დასკვნა ასეთია: თუნდაც დღეში 3 ფინჯან ყავაზე მეტს სვამდეთ, ჰიპერტენზიის განვითარების ალბათობა მაინცდამაინც არ იზრდება—ისეთივე რჩება, როგორც 1-2 ფინჯანი ყავის სმის შემთხვევაში. თუმცა, მეცნიერები არ უარყოფენ, რომ ყავისა და არტერიული წნევის ურთიერთკავშირზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, მათ შორის—ორგანიზმის თავისებურება, გენეტიკური ფონი და მეტეკვიდრობა, ამიტომ ზოგიერთმა, გამორიცხული არ არის, ფინჯანი ყავის შემდეგაც კი შეუძლოდ იგრძნოს თავი. ამ თვალსაზრისს უკვე რამდენიმე ექსპერტი დაეთანხმა.



მონოსეზი

ღიზი—ელისაბედ ლომჯარიას!

ჩემო მონატრებულო, ჩემო სიყვარულო, გილოცავ დაბადების დღეს. ბედნიერი ვარ, რომ ჩემთან ერთი წლის ხდები. მინდა სულ ასეთი თბილი, მოციმციმე, ლამაზი და ბედნიერი იყო. ისეთი კარგი გოგო გაზრდილიყავი, რომ შენით ამაყობდეს შენი ძმა ლუკა, დედ-მამა, ჩვენები—ყველანი. გფარავდეს ღმერთი! ჩემო სულზე უტკბესო, გემრიელო ღიზიკო.



შენი მამაყვალა ბებო.

ტატა—ანასტასია ბუკიას!

ტატუკა, ამ ქვეყნად რაც რამ ძვირფასია და საუკეთესო არსებობისათვის, ყველაფერი შენთვის შემეტება ჩემო პატარავ, პირველო სინარულო, ჩემი დიდი ტკივილის დროს მალამოდ მოვლენილო არსებავ! მიყვარხარ, მენატრები, გჩუქნი საუკეთესო და ულამაზეს სურვილებს. დიდი სიყვარულით შენი ნანი ბებო.



ფოტო ვანწყობისათვის



ღია აობახიძე-ჩვანი რედაქციის „საუბიო“ სტუმარი „ისი ხარის“ ხშირი სტუმარია, აიბიომაცა ასე გაბრწყინებული.

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.
გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“
სარედაქციო კოლეგია: თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი—მერი ლავილაია, თავმჯდომარის მოადგილე—ნანი კილასონია. რედაქტორი—მანანა შულაია, ნანა კემულარია, ნინო გერგაია, ლაშა ცატავა.
კომპიუტერული უზრუნველყოფა ჯულიეტა ლატარია.
გაზეთი ავჭო და დაკაბალონდა შპს „ხობის მოამბე“
მის: ხობი, სტალინის ქუჩა №1 ტელ: 8 (414) 22-21-13; 22-25-81;
599-50-40-57
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით